

F-171
1984



საბარტველოს სსრ განათლების სამინისტრო

ბრძანებათა
და
ინსტრუქციათა
კრებული

ISSN 0206-2674

თბილისი
1984

აგვისტო

№ 8

АВГУСТ

МИНИСТЕРСТВО ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

СБОРНИК
ПРИКАЗОВ
И
ИНСТРУКЦИЙ

ТБИЛИСИ
1984



**საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის
1984 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილება**

**სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის (1983 წ.) პლენუმის
მოთხოვნათა შუქზე ქ. თბილისის კალინინის, მცხეთისა და
ბოლნისის რაიონების ზოგადსაგანმანათლებლო
სკოლებში ქორეოგრაფიული სტუდიებისა და
წრეების მუშაობის შესახებ**

69
65-7

კოლეგია აღნიშნავს, რომ ქ. თბილისის კალინინის, მცხეთისა და ბოლნისის რაიონების საშუალო სკოლების ქორეოგრაფიული სტუდიებისა და წრეების საქმიანობაში ერთგვარი წარმატებების მიუხედავად, ადგილი აქვს სერიოზული ხასიათის დარღვევებსა და ნაკლოვანებებს, რაც განპირობებულია შესაბამისი რაიონების ქორეოგრაფიული სტუდიებისა და წრეებისადმი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დირექციების არასაკმარისი ხელმძღვანელობით, სუსტი კონტროლითა და დახმარებით, მეთოდისტ-ქორეოგრაფთა დაბალი კომპეტენციით, მათგან ხელმძღვანელობის შესუსტებითა და არასათანადო სამომხმარებლოდ.

კოლეგიამ გადაწყვიტა:

1. ინფორმაცია „სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის (1983 წ.) პლენუმის მოთხოვნათა შუქზე ქ. თბილისის კალინინის, მცხეთისა და ბოლნისის რაიონების ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ქორეოგრაფიული სტუდიებისა და წრეების მუშაობის შესახებ“ მიღებულ იქნას ცნობად.

2. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, საზრდო ოსეთის ა/ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებმა, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველომ მიმდინარე წლის ბოლომდე ადგილებზე შეისწავლონ ქორეოგრაფიულ სტუდიებსა და წრეებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის, კადრების შერჩევა-დანიშვნის, საფინანსო მეურნეობისა და დოკუმენტაციის წარმოების მდგომარეობა და შეიტანონ საკითხი შესაბამისი აღმასკომების სხდომებზე განსახილველად. წინადადება მიეცეთ ბოლნისისა და მცხეთის რაიონების განათლების განყოფილებებს (ამხ. ამხ. ე. გობეჯიშვილი, ე. ხარაბაძე) სამმართველოს მიერ შესწავლილი მასალა სათანადო რეაგირების მიზნით განსახილველად შეიტანონ რაისაბჭოების აღმასკომების სხდომებზე (თან ერთგის).

3. აღმზრდელობითი მუშაობის რესპუბლიკურმა სამეცნიერო-მეთოდურმა ცენტრმა (ამხ. თ. მდივანი) მიმდინარე წლის ოქტომბრამდე ქორეოგრაფიული სტუდიებისა და წრეების მუშაობაში არსებული დარღვევებისა და უზუსტობათა თავიდან აცილების მიზნით გადაამუშაოს, დახვეწოს და სათანადო კორექტირება გაუკეთოს „რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო რეაწლიან და საშუალო სკოლებში ბავშვთა ქო-

ს.ქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა

რეოგრაფიული წრეებისა და სტუდიების შექმნის შესახებ“ ამჟამად მრავალმხრივად განხილვას და დასამტკიცებლად წარუდგინოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიას.

4. აღმზრდელობითი მუშაობის რესპუბლიკურმა სამეცნიერო-მეთოდურმა ცენტრმა მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალურ ინსტიტუტთან (ამხ. გ. გვათუა) ერთად სისტემაში მოიყვანოს ქორეოგრაფიკული მეთოდისტიკისა და პედაგოგ-ქორეოგრაფების კვალიფიკაციის ამაღლების საკითხი. ამ მიზნით სისტემატურად მოაწყოს გადასამზადებელი კურსები. ყოველწლიურად მოამზადოს გამოსაცემად მეთოდური მასალები ქართულ-ხალხურ, სამეფლისო, კლასიკურ და საბჭოთა კავშირის ხალხთა ცეკვების სხვადასხვა საკითხებზე.

5. კადრების (ამხ. ა. ვაჩნაძე) და აღმზრდელობითი მუშაობის (ამხ. ე. ზარქუა) სამმართველოებმა მიმდინარე წლის ოქტომბრამდე შეისწავლონ რეგიონების მიხედვით პედაგოგ-ქორეოგრაფთა სპეციალისტების მოთხოვნაზე ვაკანსიების მდგომარეობა და ამის საფუძველზე მოამზადონ და დააყენონ საკითხი საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროსა და სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის წინაშე, რომ რესპუბლიკის კულტსაგანმანათლებლო სასწავლებლების კურსდამთავრებულთა ერთი ნაწილი გამოყენებულ იქნას ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სამუშაოდ.

6. აღნიშნული გადაწყვეტილება დაეგზავნოს რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებებს, მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალურ, საქალაქო და ზონალურ ინსტიტუტებს, აღმზრდელობითი მუშაობის რესპუბლიკურ სამეცნიერო-მეთოდურ ცენტრს, აღმზრდელობითი მუშაობის მეთოდურ კაბინეტს, პიონერთა სახლებსა და სასახლებს, პიონერთა პარკებს სახელმძღვანელოდ.

7. გადაწყვეტილების შესრულების მიმდინარეობაზე კონტროლი დაევალოს აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველოს (ამხ. ე. ა. ზარქუა).

კოლეგიის თავმჯდომარე,
მინისტრი **მ. შინქლაძე**

ც ნ ო ზ ა

**სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის (1983 წ.) პლენუმის
მოთხოვნათა შუქზე ქ. თბილისის კალინინის, მცხეთისა და
ბოლნისის რაიონების ზოგადსაგანმანათლებლო
სკოლებში ქორეოგრაფიული სტუდიებისა და
წრეების მუშაობის შესახებ**

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველომ გეგმის შესაბამისად კოლეგიაზე განსახილველად შეისწავლა ქ. თბილისის კალინინის, მცხეთისა და ბოლნისის რაიონების ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ქორეოგრაფიული სტუდიებისა და წრეების მუშაობა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის (1983 წ.) პლენუმის მოთხოვნათა შუქზე.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის (1983 წ.) პლენუმმა დასახა მოზარდი თაობის ესთეტიკური აღზრდის შემდგომი გაუმჯობესების ამოცანა, რომელიც კანონის ძალით გამოიკვეთა ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმაში. სკოლებში უმთავრესად ნათლად აქვთ წარმოდგენილი მოსწავლეთა ესთეტიკური აღზრდის ამოცანები და ქორეოგრაფიას მიიჩნევენ, როგორც მოზარდი თაობის მხატვრული გემოვნების განვითარებისა და მშვენიერების აღქმის საშუალებას. ქორეოგრაფიული წრეების დანიშნულებას უპირველესად ხედავენ იმაში, რომ შეასწავლონ მოსწავლეებს ცეკვის ხელოვნების საფუძვლები, მისცენ მოზარდებს საჭირო ცოდნა და ჩვევები ამ დარგში, ხელი შეუწყონ მოსწავლის პიროვნების ყოველმხრივ განვითარებას, მათ სწორ ესთეტიკურ აღზრდას.

სკოლების ერთ ნაწილში სწორედ ასეთმა დამოკიდებულებამ განაპირობა მუშაობის გარკვეული დადებითი გამოცდილების დაგროვება და ერთგვარი წარმატებები. საშუალო სკოლების ქორეოგრაფიული კოლექტივები ტრადიციულად მონაწილეობენ მოსწავლეთა მხატვრული თვითმოქმედების რაიონულ, საქალაქო და რესპუბლიკურ კონკურსებში, ოლიმპიადებში (ქ. თბილისის 53-ე, მცხეთის 1-ლი, ბოლნისის 1-ლი საშუალო სკოლები). განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ქ. თბილისის 53-ე საშუალო სკოლის ქორეოგრაფიული სტუდიის ანსამბლ „მახარეს“ მიღწევები მე-10 რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე, სადაც კოლექტივის ყველა წევრი დაჯილდოვდა ოქროს მედლით (ხელმძღვანელი ი. დოლიძე).

ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ შემოწმებული სკოლების ქორეოგრაფიული წრეების საქმიანობაში გამოვლინდა სერიოზული ნაკლოვანებები, რომლებიც ხელს უშლიან ადგილებზე მუშაობის სწორად წარმართვას.



სკოლებში ქორეოგრაფიული წრეების მუშაობის ანალიზმა ცხადყო, რომ რიგი პედაგოგ-ქორეოგრაფებისა პროფესიულად მოუმზადებლად, დაბალ დონეზე ატარებს მეცადინეობებს, ვერ ახერხებს მისცეს მოსწავლეებს ამ სფეროში აუცილებელი ცოდნა, გამოუმუშაოს სათანადო უნარ-ჩვევები მათი ასაკობრივი თავისებურებების შესაბამისად, სკოლაში არსებული სამუშაო პირობების გათვალისწინებით. მოზარდ თაობაში ქორეოგრაფიული კულტურის ამალგების, მხატვრული გემოვნების განვითარების, მათში მშვენიერების აღქმის გრძნობის ჩამოყალიბების მიზნით შემოწმებული სკოლების უმრავლესობაში ქორეოგრაფები არ აცნობენ მოსწავლეებს ცეკვის ხელოვნების საფუძვლებს, საუკეთესო ნაწარმოებებს და ა. შ. სწავლების პროცესში, როგორც წესი, არ იყენებენ ისეთ ნაცად ფორმას, როგორიცაა ანალიზური მეთოდი და იფარგლებიან მხოლოდ მოძრაობების მექანიკური შესრულებით. პედაგოგები საერთოდ არ მიმართავენ სწავლების თხრობით ფორმას, რაც აუცილებლად უნდა იყოს შეხამებული ჩვენებით მეთოდთან, არ იყენებენ ერთიან ენობრივ ქორეოგრაფიულ ტერმინოლოგიას, რაც ხელს უშლის მოცეკვავეებს ამა თუ იმ მოძრაობისა და ილეთის სწრაფად ათვისებაში. სწავლების პერიოდში ქორეოგრაფები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ ან საერთოდ არ ითვალისწინებენ მოსწავლეთა ფიზიკურ შესაძლებლობებს (ბოლნისის 1-ლი საშუალო სკოლა, პიონერთა სახლი, მცხეთის 1-ლი, წეროვნის, ძალისის სკოლები, ქორეოგრაფები მ. ტოგონიძე, ვ. აილინიკი, გ. პოლოსოვი, ა. ფეშუაშვილი, დ. წიწორია).

ზოგიერთი წრის მეცადინეობა დაყვანილია სრულ პრიმიტივიზმამდე. ქორეოგრაფიული წრის ხელმძღვანელები არ იცავენ მეცადინეობის ძირითად პრინციპებს. მოცეკვავეები არ არიან დაყოფილი ასაკობრივად. არ არის დაცული გაკვეთილის სტრუქტურა და მისი შემადგენელი ნაწილები. ნაკლები ყურადღება ექცევა ძელთან ვარჯიშებს. მეცადინეობის დროს ქორეოგრაფები გადაჭარბებულად იყენებენ სპორტულ ილეთებს. მოსწავლეებმა არ იციან სწორად დგომა, სხეულის მართვა, წონასწორობისა და ინტერვალის დაცვა, რაც აუცილებელია ცეკვის დაუფლებისათვის. ხშირ შემთხვევაში ჯგუფური მეცადინეობებისას პედაგოგები არ ამახვილებენ ყურადღებას მოცეკვავეთა მიერ ილეთების სწორად შესრულებაზე, მოძრაობის კოორდინირებაზე, არ აძლევენ შენიშვნებს და არ უსწორებენ შეცდომებს, კმაყოფილებიან მხოლოდ ნახაზის შესრულებით (მცხეთის რაიონის ძველი ქანდისა და ძეგვის საშუალო სკოლები. ქორეოგრაფები ი. ჯანგულაშვილი, გ. როსტიაშვილი).

ცალკეული წრის ხელმძღვანელები მეთოდურად არასწორად აგებენ ცეკვის გაკვეთილებს. ქორეოგრაფიული წრის მეცადინეობები მოკლებულია მუსიკის თანხლებას, ზოგჯერ პედაგოგები თავად ეწევიან აკომპანირებას, რაც ყოველად გაუმართლებელია. ძალზედ ნაკლებ დროს უთმობენ გოგონებისათვის განკუთვნილი ცეკვის ილეთების შესწავლას,

შედმეტად ტვირთავენ მათ ვაჭებისათვის ძნელად შესასრულებელი მოძრაობებით, არ იცავენ პირველ წელს გოგონებისათვის სავარჯიშოების დიფერენციული სწავლების პრინციპებს (ქ. თბილისის 47-ე და 51-ე, მცხეთის რაიონის ნიჩბისის, მისაქციელის საშუალო სკოლები, ქორეოგრაფები გ. ბურდული, თ. გოქაძე, კ. რაზმაძე).

ზოგიერთ ქორეოგრაფს რეპერტუარში სრულიად გაუმართლებლად შეაქვს ისეთი ცეკვები, რომლებიც არ არის მოცემული სასწავლო პროგრამაში, არ შეესაბამება მოსწავლეთა ასაკს და დასაწყისშივე ამახინჯებს მათი მხატვრული გემოვნების დონეს (მცხეთის 1-ლი საშუალო სკოლა, ქორეოგრაფი გ. პოლოსოვი).

ზემოდასახელებული სკოლების ქორეოგრაფიული წრის ხელმძღვანელთა უმრავლესობა პრაქტიკული მეცადინეობების პარალელურად სათანადო ყურადღებას არ უთმობს ლექცია-საუბრების ჩატარებას ქორეოგრაფიის ისტორიაზე, სახელოვან ქორეოგრაფებზე, ხელოვნების დარგის ცნობილ მუშაკებზე. თითქმის არ იყენებს პრაქტიკაში ისეთ საინტერესო ფორმებს, როგორიცაა შემოქმედებითი ხასიათის შეხვედრები, ექსკურსიები ღირსშესანიშნავ ისტორიულ ადგილებში, მუზეუმებში, საგამოფენო დარბაზებში, კოლექტიური დასწრებები საბალეტო დადგმებსა და სახელმწიფო ქორეოგრაფიული ანსამბლების კონცერტებზე.

ქორეოგრაფთა ერთი ნაწილი არასწორად ადგენს სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის წლიურ გეგმას, მათ უმრავლესობას კი სამუშაო გეგმები საერთოდ არა აქვთ შედგენილი, არა აქვთ სასწავლო პროგრამები და ა. შ. (ბოლნისის პიონერთა სახლი, 1-ლი საშუალო, მცხეთის რაიონის წეროვნის, ძეგვის, თბილისის 47-ე, 50-ე, 51-ე სკოლები. ქორეოგრაფები გ. აილინოვი, მ. ტოგონიძე, ა. ფეზუაშვილი, გ. როსტიაშვილი, გ. ბურდული, ბ. რიჩკოვი). საწრეო ჟურნალებში უმეტესწილად არ ხდება დამუშავებული მასალისა და სასწავლო რეპერტუარზე მუშაობის პროცესის ფიქსირება (მცხეთის 1-ლი, ძველი ქანდის, ნიჩბისის, მისაქციელის, ძალისის საშუალო სკოლები, ბოლნისის პიონერთა სახლი, ქორეოგრაფები გ. პოლოსოვი, ი. ჯანგულაშვილი, თ. გოქაძე, კ. რაზმაძე, დ. წოწორია, გ. აილინოვი). ცალკეული სკოლების ქორეოგრაფიული წრეების მეცადინეობათა შინაარსსა და ხარისხზე უარყოფით გავლენას ახდენს პედაგოგიური კადრების არასპეციალური ცენზის მიხედვით შერჩევა. ხშირად პედაგოგ-ქორეოგრაფებად ინიშნებიან ისეთი პირები, რომლებსაც მხოლოდ მუშაობის პრაქტიკული გამოცდილება აქვთ (მცხეთის რაიონის ძველი ქანდის, წეროვნის, ბოლნისის 1-ლი, თბილისის 50-ე სკოლები. ქორეოგრაფები ი. ჯანგულაშვილი — არასპეციალისტი, ა. ფეზუაშვილი — არასპეციალისტი, მ. ტოგონიძე — არასპეციალისტი, ბ. რიჩკოვი — ვიოლონჩელისტი). არის შემთხვევები, როცა სათანადო ცენზისა და კვალიფიკაციის არმქონე პირები გაუმართლებელი და დაუსაბუთებელი მოტივით, ერთდროულად რამდენიმე

ადგილზე სრული დატვირთვით არიან გაფორმებული. ეს კი, ყველაფერთან ერთად, უარყოფითად მოქმედებს მათი მუშაობის ხარისხზე (მცხეთის 1-ლი სკოლა, ქორეოგრაფი გ. პოლოსოვი, დატვირთვა 3, 5 განაკვეთი).

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მთელი რიგი სკოლების ქორეოგრაფიულ წრეებში არაღამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს საქმისწარმოება. არ არის მოსეწირიებული აკომპანიატორებისა და ქორეოგრაფთა პირადი საქმეები, არ არის წარმოდგენილი ცნობები მათი ძირითადი სამუშაო ადგილიდან, არც შესაბამისი რაიონის განათლების განყოფილების ბრძანებაშია მინიშნებული ამის შესახებ, რაც ხელს უწყობს მათი სასწავლო დატვირთვის რეალური მდგომარეობის დაფარვას (მცხეთის რაიონის ძეგვის, ძველი ქანდის, ქსოვრისის, ძალისის, ბოლნისის 1-ლი, თბილისის 51-ე, 53-ე სკოლები. ქორეოგრაფები გ. როსტიაშვილი, ი. ჯანგულაშვილი, მ. ტოგონიძე, დ. წოწორია, ც. ქარაული, აკომპანიატორები გ. იასალაშვილი, გ. სომნიშვილი, გ. მორბე-დაძე, ი. გიგაური, მ. გიგაური). ცალკეული სკოლების ქორეოგრაფიული წრის ბრძანების წიგნები ძალზედ მოუწესრიგებელია და ქაოტურად იწარმოება. ერთი და იგივე პირები ერთსა და იმავე ადგილზე ორჯერ არიან დანიშნულები (მცხეთის 1-ლი სკოლა, აკორდენისტი გ. კურკინი, მედოლე ვ. გოგოლაური 01.09.83 წ., 01.01.84 წ.). ქ. თბილისის 50-ე საშუალო სკოლის ქორეოგრაფიული წრის ხელმძღვანელად ბ. რიჩკოვის დანიშვნაზე შედგენილია ორი ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული ბრძანება: სკოლის დირექტორის ბრძანებით (№ 154, 10.10.82 წ.) იგი გაფორმებულია სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის ხელმძღვანელად, რაიონის განათლების განყოფილების ბრძანებით კი (№ 1-06/266, 10.10.82 წ.), რატომღაც, იმავე სკოლის გუნდის ხელმძღვანელად. როგორც ერთი, ისე მეორე ბრძანება არასწორადაა შედგენილი.

ზოგან უხეშადაა დარღვეული ქორეოგრაფიული წრის გახსნისა და ჯგუფებში მოსწავლეთა ჩარიცხვის წესი. მცხეთის 1-ლი სკოლის ქორეოგრაფიული წრის გახსნის თაობაზე არ არსებობს არავითარი ბრძანება, თუმცა იგი ფუნქციონირებს 1983 წლის იანვრიდან. იმავე რაიონის ნიჩბისისა და ქსოვრისის საშუალო სკოლებში ქორეოგრაფიული წრეები გახსნილია ძალზე დიდი დაგვიანებით, სასწავლო წლის მეორე ნახევარში (1982 წლის დეკემბერი, 1983 წლის თებერვალი), ასევე დიდი დაგვიანებით არის გახსნილი ბრძანებით ძალისის საშუალო სკოლის ქორეოგრაფიული წრე (1984 წლის იანვარი), ფაქტიურად კი იგი არსებობდა სასწავლო წლის დაწყებიდან და ყველა მოსწავლე იხდიდა სწავლის გადასახადს. მოსწავლეთა გარკვეული ნაწილი ხანგრძლივი დროის მანძილზე დადის წრის მეცადინეობებზე, იხდის შესაბამის გადასახადს, მაგრამ, რატომღაც ბრძანებით წრეში არ არის ჩარიცხული

(მცხეთის 1-ლი, მისაქციელის, წეროვნის საშუალო სკოლები). ზმირია შემთხვევები, როცა მოსწავლეები წრეში ირიცხებიან სასწავლო წლის დაწყებიდან 5-6 თვის შემდეგ (მცხეთის 1-ლი, ძველი ქანდის, წეროვნის საშუალო სკოლები). ზოგიერთ წრეში ანალოგიური დაბრუნებით ხდება მოსწავლეთა სიიდან ამორიცხვა, მცხეთის 1-ლი საშუალო სკოლის ქორეოგრაფიული წრის წევრთა ერთი ნაწილი, რატომღაც, 1984 წლის 1 მარტის ბრძანებით (№ 8) ამორიცხულა ითვლება გასული წლის 1 ოქტომბრიდან. მოსწავლეთა მოძრაობას ბრძანების წიგნით არ აწარმოებენ აგრეთვე თბილისის 51-ე საშუალო და ნიჟნისის საშუალო სკოლების ქორეოგრაფიული წრის ხელმძღვანელები. საწრეო ჟურნალებში გადაშლილი გვარების ნაცვლად ახლად ჩასმული წევრები არ არიან ფიქსირებული ბრძანების წიგნში. მოსწავლეთა აღრიცხვიანობაში დაშვებული ქაოსის შედეგად ცალკეული სკოლის ქორეოგრაფიული წრის ბრძანების წიგნის, საწრეო ჟურნალისა და ბუღალტერიაში წარდგენილი ხელფასის ტაბელის მიხედვით მოსწავლეთა რაოდენობა არ ემთხვევა ერთმანეთს და იძლევა მნიშვნელოვან განსხვავებას. მცხეთის 1-ლი საშუალო სკოლის ქორეოგრაფიული წრის ჟურნალის მიხედვით 1983 წლის სექტემბრიდან 1984 წლის აპრილამდე წრეში ირიცხებოდა 58 მოსწავლე, ბრძანების წიგნში კი სრულიად შეცვლილია ეს ციფრები, ხოლო ხელფასის ტაბელში მოსწავლეთა რაოდენობა კიდევ უფრო მეტადაა დამაინტერესებელი.

ქორეოგრაფიული წრეების საქმისწარმოებაში არსებულმა არეულობამ და განუკითხაობამ განაპირობა სერიოზული ფინანსური დარღვევები. სკოლის დირექციის ბრძანების გაყალბებული ასლის ბუღალტერიაში ჩაბარების საფუძველზე, ზოგჯერ კი საერთოდ ბრძანების ამონაწერისა და ტარიფიკაციის წარდგენის გარეშე ადგილი აქვს ქორეოგრაფებსა და აკომპანიატორებზე ხელფასების უპასუხისმგებლოდ გამოწერის ფაქტებს (მცხეთის 1-ლი საშუალო სკოლის დირექციის ქორეოგრაფიული წრისადმი დაშვებული ბრძანების ასლში (№ 2; 01.09.84 წ.), რომელიც გადაცემულია საქალაქო საბჭოს ბუღალტერიაში, მელოდე ვ. გოგოლაურისა და აკორდეონისტ ვ.კურკინის ნაცვლად შეტანილი არიან დ. დიღმელაშვილი და ნ. ჩივაძე, ხელფასებიც შესაბამისად მათზეა გამოწერილი (ბუღალტერი ზ. მანჯავიძე). სათანადო საბუთების გარეშე, ზეპირი განცხადების საფუძველზე განათლების ცენტრისა და სტაჟის გაუთვალისწინებლად ხელფასები ეწერებათ ქ. თბილისის 51-ე საშუალო სკოლის აკომპანიატორებს მ. გიგაურსა და ი. გოგოლაურს (კალინინის რაიონის განათლების განყოფილების ბუღალტერი ი. პეტროვა), მცხეთის რაიონის ძველი ქანდის საშუალო სკოლის ქორეოგრაფიული წრის ხელმძღვანელს ი. ჯანგულაშვილს (სასოფლო საბჭოს ბუღალტერი ჟ. თათარაშვილი). ძველი ქანდის სასოფლო საბჭოს ბუღალტერმა სრულიად გაუმართლებლად გასცა ქორეოგრაფ ი. ჯანგულა-

შვილზე 1983 წლის სექტემბერ-ოქტომბრის ხელფასი მაშინ, როდესაც იგი ბრძანებით მხოლოდ 12 ოქტომბრიდანაა დანიშნული. დარღვევები ჩადენილი აკომპანიატორების გ. იასალაშვილისა და გ. სომხიშვილისათვის ხელფასის გაცემის დროს. მიუხედავად იმისა, რომ ბრძანებით ორივენი 1984 წლის 16 იანვრიდან არიან დანიშნულნი, ხელფასი გამოწერილი და მიღებული აქვთ 1983 წლის სექტემბრიდან, ამასთან დარღვეულია ხელფასის განაკვეთური ანაზღაურება წრის წევრთა ჯგუფების მიხედვით. ნაცვლად არსებული სამი ჯგუფისა, აღნიშნული სკოლის ქორეოგრაფსაც და აკომპანიატორებსაც ხელფასები რატიმდაც 3, 5 ჯგუფზე ეწერებოდათ, რის შედეგადაც ქორეოგრაფი ი. ჯანგულაშვილი ყოველთვიურად ზედმეტად იღებდა 25 მანეთსა და 50 კაპიკს, რამაც საერთო ჯამში შეადგინა 153 მანეთი, ხოლო აკომპანიატორებს ამ გზით ცალ-ცალკე ზედმეტად მიღებული აქვთ 213 მანეთი და 12 კაპიკი.

ხელფასის ტაბელის შედგენისას დაშვებულია აშკარა მიწერები მცხეთის 1-ლი საშუალო სკოლის ქორეოგრაფიული წრის ხელმძღვანელის გ. პოლოსოვის მიერ, რის საფუძველზეც მასზე გაცემულია ზედმეტი თანხა. 1983 წლის სექტემბერში, ოქტომბერსა და ნოემბერში 4 ჯგუფის ნაცვლად მას ნაჩვენები აქვს 5 ჯგუფი და ხელფასიც შესაბამისად მიღებული აქვს თითო თვეში 87 მანეთისა და 52 კაპიკის ნაცვლად 109 მანეთი და 40 კაპიკი. სულ სამივე თვეში მას ზედმეტად მიღებული აქვს 65 მანეთი და 34 კაპიკი. 1984 წლის იანვარსა და თებერვალში გ. პოლოსოვს უკანონოდ გამოტანილი აქვს 89 მანეთი და 20 კაპიკი. მოცემულ პერიოდში მას მთლიანად ზედმეტად მიღებული აქვს 154 მანეთი და 54 კაპიკი.

აღსანიშნავია, რომ მცხეთის საქალაქო საბჭოს ბუღალტერი ზ. მანჯავიძე ხელფასების გამოწერის დროს აშკარა წაყრუებასთან ერთად შეგნებულ თვალთმაქცობასა და კანონის ხელყოფას მიმართავს. 1984 წლის იანვარში მას გამოწერილი აქვს ხელფასი მცხეთის 1-ლი საშუალო სკოლის ქორეოგრაფიული წრის მედოლე ნ. ჩივაძეზე მაშინ, როდესაც იგი ბრძანებით გასული წლის 30 დეკემბრიდანაა განთავისუფლებული. უფრო მეტიც, იანვრის თვეში ეგრეთ წოდებულ „მკვლარ სულად“ გაფორმებულია ვინმე კ. მაისურაძე, როგორც ქორეოგრაფი და მასზე გაცემულია ხელფასი 109 მანეთი და 40 კაპიკი.

ასევე არასწორად არის გამოწერილი ხელფასები მცხეთის რაიონის წეროვნის საშუალო სკოლის ქორეოგრაფიული წრის ხელმძღვანელ ა. ფეშუაშვილზე. 1983 წლის დეკემბერსა და 1984 წლის იანვარში სასოფლო საბჭოს ბუღალტერმა (ე. მაისურაძე) მას 55 მანეთი გამოუწერა, ე. ი. თითო თვეში ზედმეტად 11 მანეთი და 24 კაპიკი, სულ 22 მანეთი და 43 კაპიკი, ხოლო თებერვლის თვეში 3 ჯგუფის ნაცვლად ქორეოგრაფზე გამოწერილი აქვს ხელფასი 4 ჯგუფის შესაბამისად, 14 მანეთითა და 60 კაპიკით მეტი.

საგულისხმოა, რომ ხელფასების ანაზღაურების საქმეში არსებული უხეში ფინანსური დარღვევების გვერდით გამოვლენილ იქნა ფორმალზმის ელემენტებიც. ბოლნისის 1-ლი საშუალო სკოლისა და პიონერთა სახლის ქორეოგრაფიული წრის ხელმძღვანელები (მ. ტოგონიძე, ვ. აილინოვი) სკოლის მოსწავლეთა ერთსა და იმავე კონტინენტს ამცადინებენ რაიონის კულტურის სახლთან არსებულ ქორეოგრაფიულ სტუდიაში, სადაც ისინი ირიცხებიან აგრეთვე სტუდიის წევრებადაც და სწავლის შესატანს ისდიან, თუმცა არც დასახელებულ სკოლაში და არც პიონერთა სახლში ქორეოგრაფიული წრეები სამეურნეო ანგარიშზე არ არის შექმნილი. მ. ტოგონიძე და ვ. აილინოვიც, როგორც ქორეოგრაფები, ორივე ადგილას ხელფასს იღებენ.

საბუღალტრო აღრიცხვასა და ანგარიშგებაში დაშვებულმა უხეშმა შეცდომებმა, საფინანსო მეურნეობის მოშლამ ხელსაყრელი პირობები შექმნა ქორეოგრაფთა მიერ სწავლის გადასახადის მეშვეობით მოსწავლეთა მშობლებისაგან ფულის უკანონოდ აკრეფისათვის.

მიუხედავად იმისა, რომ არსებული დებულების თანახმად ქორეოგრაფიული წრის თითოეულ წევრზე დაწესებულია გადასახადი თვეში 5 მანეთის ოდენობით, რომელიც მოსწავლის მშობელმა შემნახველ სალაროში უნდა შეიტანოს და ქორეოგრაფებს კატეგორიულად ეკრძალებათ ფულის ხელზე მიღება, სინამდვილეში ეს განაწესი დარღვეულია და ადგილი აქვს პედაგოგთა მიერ გადასახადის მასიურად შეგროვების ფაქტებს.

უნდა აღინიშნოს, რომ ეს მანკიერი პრაქტიკა დამახასიათებელია მცხეთის რაიონში შემოწმებული თითქმის ყველა სკოლისათვის. ქორეოგრაფიული წრეების მნიშვნელოვან ნაწილში ფეხი მოიკიდა არაქანსალმა ტენდენციამ. ძალისის საშუალო სკოლის ქორეოგრაფიული წრის ხელმძღვანელი დ. წოწორია არ უფრთხილდება აღმზრდელის მაღალ ღირსებას და მოსწავლეთა მშობლებისაგან (მ. სალიბაშვილი, თ. ჩიჯაძე, დ. კვინიკაძე, მ. დვალაძე და სხვ.) ხელზე იღებს სწავლის გადასახადს (7, 8 მან.). მისაქციელის საშუალო სკოლის ქორეოგრაფიული წრის ხელმძღვანელი კ. რაზმაძე, რატომღაც, დამატებით მეცადინეობებს ატარებს და გასამრჯელოსაც ორმაგად ღებულობს (5 მან. ზ. ბეროშვილი, ს. ქავთარაძე, გ. შარაბიძე და სხვ.). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 1983 წლის 2 მარტს ქორეოგრაფ კ. რაზმაძის ავადმყოფობის გამო წრემ ბრძანებით ფიქტიურად მუშაობა შეწყვიტა, მაგრამ ფაქტიურად ორი კვირის შემდეგ წრის მეცადინეობები განახლდა და სასწავლო წლის ბოლომდე ქორეოგრაფი, ჩვეულებისამებრ, მოსწავლეთა მშობლებისაგან სწავლის საზღაურს ხელზე იღებდა. წეროვნის საშუალო სკოლის ქორეოგრაფიული წრის ხელმძღვანელი ა. ფეზუაშვილი მოსწავლეებს ამცადინებდა 1983 წლის სექტემბრიდან და სწავლის ფულსაც იმავე პერიოდიდან ახდევინებდა, თუმცა ისინი წრეში

ბრძანებით ჩარიცხულნი არიან რამდენიმე თვის შემდეგ. მცხეთის 1-ლი საშუალო სკოლის ქორეოგრაფიული წრის ხელმძღვანელი გ. პოლოსოვი, გარდა იმისა, რომ სწავლის რამდენიმე თვის გადასახადს ხელზე ერთად იღებდა, მოსწავლეთა ერთი ნაწილის ფული შემნახველ სალაროში საერთოდ არ შეუტანია და მათზე ფაქტიურად დავალიანება ირიცხება. ამასთან, ქორეოგრაფმა აკომპანიატორებისათვის მოსწავლეთა მშობლისაგან ცალკე აკრიფა ფული. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ გ. პოლოსოვი დანიშვნის დღიდან, ე. ი. 1983 წლის იანვრიდან წრის წევრებს მოსწავლეთა მხატვრული თვითმოქმედების რესპუბლიკური ოლიმპიადისათვის ამზადებდა და ჩვეულებისამებრ ყოველთვიურად სწავლის საზღაურს კრებდა. მაგრამ არც ოლიმპიადამდე და არც მის შემდეგ სექტემბრის თვემდე შემნახველ სალაროში არც ერთი მანეთი არ არის შეტანილი. ფაქტიურად გ. პოლოსოვი წრის მეცადინეოებში პირადი შემოსავლის წყაროდ გაიხადა.

როგორც ქორეოგრაფიული წრეების მუშაობის ანალიზიდან ირკვევა, შემოწმებული სკოლების ხელმძღვანელები არ ინტერესდებიან ადგილებზე შექმნილი მდგომარეობით და ჯეროვნად არ აფასებენ წრეობრივ მუშაობას, როგორც სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის განუყოფელ ნაწილს. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ზემოდასახელებული სკოლებიდან პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე არც ერთხელ არ მოსმენილა ქორეოგრაფიული წრეების მუშაობის საკითხი. სკოლების დირექციებს მხოლოდ მხატვრული თვითმოქმედების ოლიმპიადებსა და კონკურსებში მონაწილეობის საბოლოო შედეგები აინტერესებდათ, რომლებიც ორ წელიწადში ერთხელ იმართება და ამ ხნის მანძილზე სათანადოდ არ იხედებიან წრის სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობისა და საცეკვაო მატერიალური ბაზის საკითხებში.

სკოლების უმეტეს ნაწილში ამ მხრივ მდგომარეობა არაღამაკმაყოფილებელია, ადგილზე არ არის შექმნილი მეცადინეობისათვის ელემენტარული პირობები: ცეკვის სასწავლო დარბაზებში არ არის სავარჯიშო ძელები, სარკეები და გასახდელეები, იატაკი სამეცადინოდ შეუფერებელია, ზოგიერთი სკოლის დარბაზი ავარიულ მდგომარეობაშია და მოითხოვს სათანადო შეკეთებას. მთელი რიგი სკოლების დარბაზები ზამთრობით არ თბება და სიცვიის გამო მეცადინეოები იშლება. ზოგან კი მეცადინეოები სკოლის დერეფანში ტარდება კლასებში გაკვეთილების მიმდინარეობის დროს (მცხეთის რაიონის სკოლები, ქ. თბილისის 50-ე სკოლა).

არასახარბიელო მდგომარეობაა, აგრეთვე, შექმნილი ბოლნისის 1-ლ საშუალო სკოლასა და პიონერთა სახლში, რომლებსაც არ გააჩნიათ საკუთარი ბაზა და წრის წევრები იძულებულნი არიან შეეხიზნონ რაიონის კულტურის სახლს, მაგრამ აქაც მათ მოუხერხებელ ადგილას,

დერეფანში უხდებათ მეცადინეობა, რაც თავისებურ კვალს სტოვებს საცეკვაო სავარჯიშოების ათვისებისა და შესრულების ხარისხზე.

ქორეოგრაფიული წრეების მუშაობაში სასწავლო--აღმზრდელობითი, მეთოდური, სამეურნეო და საფინანსო ხაზით გამოვლენილი დარღვევები და ნაკლოვანებები განპირობებულია იმით, რომ შემოწმებული რაიონების სახალხო განათლების ორგანოები, მათი შესაბამისი სამსახურები ძალზედ ნაკლებ დროს უთმობენ ქორეოგრაფიული წრეებისა და სტუდიების მუშაობის საკითხს.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ბოლნისის რაიონში არსებული 45 რვაწლიანი და საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლიდან ქორეოგრაფიული წრე ფუნქციონირებს მხოლოდ ერთ სკოლაში (ბოლნისის 1-ლი საშუალო სკოლა და რაიონის პიონერთა სახლი).

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ მცხეთის რაიონის განათლების განყოფილების (გამგე ე. ხარაბაძე) ქორეოგრაფ-მეთოდისტი თ. გოქაძე, რომელიც ამ თანამდებობაზე მიექვედნენ წელია მუშაობს და ამავე დროს ნიზბისის საშუალო სკოლაში შეთავსებით ხელმძღვანელობს ქორეოგრაფიულ წრეს, ფორმალურად ეკიდება დაკისრებული მოვალეობის შესრულებას, ნაცვლად იმისა, რომ როგორც კურატორმა, მეთოდური დახმარება და კონტროლი გაუწიოს აღგილებზე პედაგოგ-ქორეოგრაფებს, იგი ხელს აფარებს მათ საქმიანობაში არსებულ სერიოზულ დარღვევებსა და ნაკლოვანებებს და ამის საფუძველზე ქმნის წრეების მუშაობაში დამაკმაყოფილებელი მდგომარეობის მოჩვენებით სურათს. ამაზე თვალნათლივ მეტყველებს მისი სასწავლო წლიური სამუშაო გეგმა, წრის მეცადინეობებზე დასწრების ანალიზები და საორგანიზაციო დღის ოქმები. თ. გოქაძის, როგორც ქორეოგრაფ-მეთოდისტის მუშაობა საერთოდ არ იგრძნობა და ფაქტიურად მცხეთის რაიონში შემოწმებული სკოლების ქორეოგრაფიული წრეები უმეთვალყურეოდ, თვითღინებაზეა მიშვებული.

თავის მხრივ, როგორც მცხეთის, ისე ბოლნისის რაიონების განათლების განყოფილებათა კურატორ-მეთოდისტთა სუსტი, მოუქნელი მუშაობა იმის შედეგია, რომ მათ მიმართ აღგილობრივი ხელმძღვანელობა არ იჩენს სათანადო პრინციპულობასა და მომთხოვნელობას, ეგუება საქმის არსებულ ვითარებას. ქ. თბილისის კალინინის რაიონის განათლების განყოფილების ესთეტიკური აღზრდის მეთოდისტი ა. გიორგაძე, რომელიც ამ თანამდებობაზე დანიშნულია მიმდინარე სასწავლო წლის დაწყებიდან, საჭიროებს კვალიფიციურ დახმარებას და საკუთარ თავზე მეტ მუშაობას, რათა ღრმად ჩასწვდეს ქორეოგრაფიული წრეების მუშაობის სპეციფიკას — მეთოდიკას, საქმის უნარიანად გაძლიერებასა და ხელმძღვანელობისათვის.

აღსანიშნავია, რომ ზემოაღნიშნული რაიონების შემოწმებული სკოლების პედაგოგ-ქორეოგრაფები თავიანთ მუშაობაში არ ხელმძღვანელობენ არსებული დებულებით „რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებ-

ლო რეაქციან და საშუალო სკოლებში ბავშვთა ქორეოგრაფიული წარმოდგენებისა და სტუდიების შექმნის შესახებ“, თუმცა ეს დოკუმენტი სათანადო ტირაჟით გამოიცა და დროულად დაიგზავნა ადგილებზე. ამასთან საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ აღნიშნული სკოლების ქორეოგრაფიული წარის ხელმძღვანელები არ სარგებლობენ აღმზრდელობითი მუშაობის რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური ცენტრის მიერ გამოშვებული მეთოდური მასალით, სათანადო რეკომენდაციებითა და მითითებებით.

საკითხის შემოწმებით არსებული მასალის ანალიზის საფუძველზე თვალნათლივ გამოიკვეთა, რომ დღემდე გამოცემული საინსტრუქციო-მეთოდური მასალა არ არის საკმარისი და საჭიროებს შევსებას სადღეისო მოთხოვნათა გათვალისწინებით.

გადახედვას და სისტემაში მოყვანას საჭიროებს პედაგოგ-ქორეოგრაფთა მეთოდური დახელოვნების საქმე. დახვეწასა და სრულყოფას მოითხოვს ქართული-ხალხური, კლასიკური, სამეფლისო და სხვა ცეკვების სწავლების მეთოდიკის საკითხები, რადგან დღემდე საქმე გვაქვს არაერთიან მოთხოვნებსა და უსისტემობასთან.

წლების მანძილზე თვითდინებაზე იყო მიშვებული ქორეოგრაფიული სტუდიებისა და წრეების ხელმძღვანელთა, პედაგოგ-ქორეოგრაფთა კვალიფიკაციის ამაღლების საკითხი. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო დროს აღმზრდელობითი მუშაობის რესპუბლიკურმა სამეცნიერო-მეთოდურმა ცენტრმა მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალურ ინსტიტუტთან ერთად გარკვეული ღონისძიებები გაატარა ამ მიმართებით, ქორეოგრაფთა გადამზადების საკითხი კვლავ მოსაგვარებელია.

მიზანშეწონილია დაისვას საკითხი საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროსა და საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის წინაშე, რათა ქალაქების თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, სოხუმის კულტსაგანმანათლებლო სასწავლებლების კურსდამთავრებულთა გარკვეული ნაწილი, რომელსაც პედაგოგ-ქორეოგრაფის კვალიფიკაცია ეძლევა, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მოთხოვნის გათვალისწინებით გამოყენებულ იქნას რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სამუშაოდ.

აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო



საპარტეზლოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1984 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილება

ცაგერის რაიონის სოფელ ლაჯანურის რვაწლიანი სკოლა- ინტერნატის მათემატიკის გაძლიერებული სწავლების საშუალო სკოლა-ინტერნატად გადაკეთების შესახებ

უკანასკნელ წლებში რესპუბლიკაში საგრძნობლად გაიზარდა მოს-
წავლეთა ინტერესი მათემატიკური მეცნიერების საფუძვლების ღრმად
შესწავლისადმი. ამასთან, მაღალმთიან რეგიონებში მათემატიკისადმი
განსაკუთრებული მიდრეკილებისა და უნარის მქონე ბავშვებისათვის
ჯერ კიდევ არ არის შექმნილი სათანადო პირობები ამ მიდრეკილები-
სა და უნარის ყოველმხრივი გამოვლინებისა და განვითარებისათვის.

ცაგერის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომი 1984
წლის 17 მაისის № 143 გადაწყვეტილებით შუამდგომლობს საქართვე-
ლოს სსრ განათლების სამინისტროს წინაშე სოფელ ლაჯანურის რვა-
წლიანი სკოლა-ინტერნატის მათემატიკის გაძლიერებული სწავლების
საშუალო სკოლა-ინტერნატად გადაკეთების შესახებ.

კოლეგიამ გადაწყვიტა:

1. დაკმაყოფილდეს ცაგერის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბ-
ჭოს აღმასკომის 1984 წლის 17 მაისის № 143 გადაწყვეტილება და
1984 წლის 1 სექტემბრიდან სოფელ ლაჯანურის რვაწლიანი სკოლა-
ინტერნატი გადაკეთდეს მათემატიკის გაძლიერებული სწავლების სა-
შუალო სკოლა-ინტერნატად.

2. სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველომ
(ამხ. ჰ. თუთბერიძე), მომარაგების მთავარმა სამმართველომ (ამხ.
კ. ძლიერიშვილი) უზრუნველყონ სოფელ ლაჯანურის მათემატიკის გა-
ძლიერებული სწავლების საშუალო სკოლა-ინტერნატი სასწავლო გეგ-
მებით, პროგრამებით, მეთოდური და დამხმარე ლიტერატურით, აუცი-
ლებელი ინვენტარით და სწავლების ტექნიკური საშუალებებით.

3. საგეგმო-საფინანსო სამმართველომ (ამხ. ო. კერესელიძე)
1985 წლის ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმაში გაი-
თვალისწინოს ლაჯანურის რვაწლიანი სკოლა-ინტერნატის საშუალო
სკოლა-ინტერნატად გადაკეთება და მისთვის ფინანსური დახმარების
გაწევა.

4. კონტროლი ამ გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს
სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველოს (ამხ.
პ. თუთბერიძე).

კოლეგიის თავმჯდომარე,
მინისტრი ო. ჰინჭლავაძე

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის
1984 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილება

**ნორჩ მეჩაიეთა და მეციტრუსეთა 1-ლი რესპუბლიკური
შეკრების ჩატარების შესახებ**

საკვებ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ 1979 წლის 27 სექტემბერს მიღებული დადგენილებით „საქართველოს სსრ სამხრეთული და სუბტროპიკული კულტურების წარმოების გადიდებისა და სოფლის მეურნეობის შემდგომი დაჩქარებული განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ გათვალისწინებულია მე-11 ხუთწლედში და 1990 წლამდე პერიოდისათვის გადიდდეს ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების ფართობი და მოსავლიანობა. ამ მნიშვნელოვანი ამოცანის გადაწყვეტის საქმეში საჭიროა მოსწავლე ახალგაზრდობის ფართოდ და აქტიურად ჩაბმა.

განათლების სამინისტროს მიაჩნია, რომ ჩაისა და ციტრუსოვანი კულტურების მოსავლიანობის შემდგომი აღმავლობის საქმეში მოსწავლე ახალგაზრდობის ფართოდ ჩაბმის თვალსაზრისით კარგი შესაძლებლობა აქვს სოფლის სკოლებს, რომელთა დიდი უმრავლესობა უზრუნველყოფილია სასწავლო-საცდელი მიწის ნაკვეთებით და მჭიდრო კავშირი აქვს კოლმეურნეობებთან და საბჭოთა მეურნეობებთან.

რესპუბლიკაში მეჩაიეობისა და მეციტრუსეობის შემდგომი განვითარების, მე-11 ხუთწლედის გეგმების შესრულებისა და სასურსათო პროგრამის წარმატებით განხორციელებისათვის გაშლილ საერთო-სახალხო მოძრაობაში რესპუბლიკის მოსწავლე ახალგაზრდობის აქტიურად ჩაბმის მიზნით კოლეგიამ გადაწყვიტა:

1. ჩატარდეს ნორჩ მეჩაიეთა და მეციტრუსეთა 1-ლი რესპუბლიკური შეკრება 1985 წლის 25-26 მარტს ქ. მახარაძეში.

2. დამტკიცდეს ნორჩ მეჩაიეთა და მეციტრუსეთა 1-ლი რესპუბლიკური შეკრების დებულება (დანართი 1).

3. დამტკიცდეს ნორჩ მეჩაიეთა და მეციტრუსეთა 1-ლი რესპუბლიკური შეკრების საორგანიზაციო კომიტეტი (დანართი 2).

4. დამტკიცდეს ნორჩ მეჩაიეთა და მეციტრუსეთა 1-ლი რესპუბლიკური შეკრების სარეგულაციო და უფლება მიეცეს ნორჩ ნატურალისტთა რესპუბლიკურ სადგურს შეკრების მოსამზადებელი სამუშაოებისათვის სარეგულირებელი 1984 წლის დამტკიცებული ასიგნებიდან.

5. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველომ, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებათა გამგებმა

შექმნან ადგილობრივი საორგანიზაციო კომიტეტები. აღნიშნულმა სა-
ორგანიზაციო კომიტეტებმა:

ა) დროულად გააცნონ სკოლებსა და სკოლისგარეშე დაწესებუ-
ლებათა ხელმძღვანელებს ნორჩ მეჩაიეთა და მეციტრუსეთა რესპუბლი-
კური შეკრების შინაარსი, მიზნები და ამოცანები;

ბ) გამოავლინონ და შეარჩიონ საუკეთესო სკოლები, სკოლისგარე-
შე დაწესებულებანი, ნორჩ ნატურალისტთა წრეები, მოსწავლეთა სა-
წარმოო ბრიგადები, შრომისა და დასვენების ბანაკები, ცალკეული მო-
სწავლეები, რომლებმაც თავი გამოიჩინეს ჩაისა და სუბტროპიკული
კულტურების მოვლა-მოყვანისა და მათი განვითარების საქმეში;

გ) შეარჩიონ საუკეთესო ნამუშევრები და 1985 წლის 1 თებერვ-
ლისათვის გამოუგზავნონ რესპუბლიკურ საორგანიზაციო კომიტეტს
მისამართით: 380014 თბილისი, გორგასლის 75, ნორჩ ნატურალისტ-
თა რესპუბლიკური სადგური.

6. საშუალო, რვაწლიანი სკოლების, სკოლა-ინტერნატების და
სკოლისგარეშე დაწესებულებათა დირექტორებმა ბიოლოგიის მასწავ-
ლებლების, ნორჩ ნატურალისტთა წრეების და მოსწავლეთა საწარმოო
ბრიგადების ხელმძღვანელთა მეშვეობით:

ა) საფუძვლიანად გააცნონ მოსწავლეებს შეკრების მიზნები და
ამოცანები, დაეხმარნენ მათ საჭირო ლიტერატურითა და სხვა მეთო-
დური რეკომენდაციებით;

ბ) დახმარება გაუწიონ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებთან,
მეურნეობებთან, კოლმეურნეობებთან საქმიანი კავშირის დამყარებაში.

7. მომარაგების მთავარმა სამმართველომ (ამს გ. ძლიერიშვილი)
მაქსიმალურად დააკმაყოფილოს ნორჩ ნატურალისტთა რესპუბლიკური
სადგურის მოთხოვნა ნორჩ მეჩაიეთა და მეციტრუსეთა 1-ლი რესპუბ-
ლიკური შეკრების ჩატარებისათვის საჭირო მასალებზე, ოფსეტურ და
ცარცის ქაღალდსა და მატერიაზე.

8. გაზეთმა „საბაზო განათლებამ“, ჟურნალმა „სკოლა და ცხოვ-
რება“ პერიოდულად გამოაქვეყნონ მასალები ნორჩ მეჩაიეთა და მე-
ციტრუსეთა მუშაობის შესახებ.

9. დაწესდეს ნორჩ მეჩაიეთა და მეციტრუსეთა 1-ლ რესპუბლი-
კურ შეკრებაში გამარჯვებულთათვის დიპლომები, სიგელები და ფასია-
ნი საჩუქრები.

10. კონტროლი გადაწყვეტილების შესრულების მიმდინარეობაზე
დაევალოს აღმზრდელიობითი მუშაობის სამმართველოს (ამს გ. ზარქუა).

კოლეგიის თავმჯდომარე,
მინისტრი მ. ძინძალაძე

საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა

შეკრებინ დ ე ზ უ ლ ე ზ ა

ჩატარების დრო და ადგილი

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო მოზარდი თაობის კომუნისტურად აღზრდის, პროფესიული ორიენტაციისა და საზოგადოებრივად სასარგებლო შრომისადმი მათი მომზადების მიზნით 1985 წლის 25-26 მარტს ქ. მახარაძეში ატარებს ნორჩ მეჩაიეთა და მეციტრუსეთა 1-ლ რესპუბლიკურ შეკრებას.

შეკრების მიზანი

მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაცია, ბიოლოგიურ დისციპლინებში მიღებული თეორიული ცოდნის საცდელი პრაქტიკული მუშაობით განმტკიცება, მოწინავე საბჭოთა აგრობიოლოგიის გაცნობა, ჩაისა და ციტრუსების მოსავლიანობის ზრდისა და აგროტექნიკის შესწავლა. მოსწავლეებისათვის თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო წარმოების სფეროს საფუძვლების გაცნობა, სწავლებისა და საზოგადოებრივად სასარგებლო მუშაობის პროცესში შრომითი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება. პროფესიის შეგნებული არჩევის, შრომის სიყვარულისა და პატივისცემის ჩანერგვა.

შეკრების მონაწილენი

შეკრებაში მონაწილეობენ რესპუბლიკის ნორჩი მეჩაიეები და მე-ციტრუსეები, ნორჩ ნატურალისტთა წრეები, მოსწავლეთა საწარმოო ბრიგადები, შრომისა და დასვენების ბანაკები და სხვა შრომითი გაერთიანებები.

ნორჩ მეჩაიეთა და მეციტრუსეთა 1-ლი რესპუბლიკური შეკრების მომზადებასა და ჩატარებას ხელმძღვანელობს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის მიერ დამტკიცებული საორგანიზაციო კომიტეტი. შეკრების მონაწილეთა შერჩევის მიზნით ადგილებზე იქმნება შესაბამისი ავტონომიური, რესპუბლიკური, საქალაქო და რაიონული საორგანიზაციო კომიტეტები.

შეკრებაში მონაწილეობის პირობები

შეკრებაზე იმუშავენს ორი სექცია: 1. ნორჩ მეჩაიეთა; 2. ნორჩ მეციტრუსეთა.



შეკრებაში მონაწილეობა შეუძლია: ნორჩ ნატურალისტთა წევრებს, მოსწავლეთა საწარმოო ბრიგადებს, შრომისა და დასვენების ბანაკებს და სხვა შრომით გაერთიანებებს, ცალკეულ მოსწავლეებს, რომლებმაც თავი გამოიჩინეს ჩაისა და ციტრუსოვანი კულტურების უხვი მოსავლის მიღების საქმეში, დაეუფლენ მოწინავე აგროტექნიკას, დახურული გრუნტის ციტრუსების მოვლა-მოყვანას, მეჩხერიანობასთან ბრძოლის ხერხებს, მცირემოსავლიანი პლანტაციების შეცვლას „კოლხეთის“ ჯიშის ნერგებით. მეცნიერებისა და სპეციალისტების დახმარებით შეისწავლეს სელექციის საფუძვლები, უხვმოსავლიანი ჯიშების გადარჩევა და მათი გამრავლების ხერხები. გარკვეული მუშაობა გასწიეს მავნებელ ავადმყოფობათა წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში სასკოლო სასწავლო ნაკვეთებზე, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ფართობებზე ჩაატარეს ცდა-დაკვირვებანი, შედეგები განაზოგადეს და დანერგეს წარმოებაში.

შეკრების შედეგების შეჯამება და დაჯილდოება

ადგილობრივი საორგანიზაციო კომიტეტები შეარჩივეს საუკეთესო ნამუშევრებს და 1985 წლის 1 თებერვლამდე უგზავნიან რესპუბლიკურ საორგანიზაციო კომიტეტს მისამართით 380014, თბილისი, გორგასლის 75, ნორჩ ნატურალისტთა რესპუბლიკური სადგური.

რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი წინასწარ იხილავს მიღებულ მასალებს და საუკეთესოებს უწევს სათანადო რეკომენდაციებს ნორჩ მეჩაიეთა და მეციტრუსეთა შეკრებაში მონაწილეობის მისაღებად. საორგანიზაციო კომიტეტი აჯამებს ჩატარებულ მუშაობას და სექციებში გამარჯვებულებს შესაბამისად დაჯილდოებს ფასიანი საჩუქრებით, განათლების სამინისტროს დიპლომებითა და სიგელებით.



**ნორჩ მეჩაიეთა და მეციტრუსეთა 1-ლი რესპუბლიკური
შეკრების საორგანიზაციო კომიტეტი**

1. დარჩია მ. დ. — საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილე
2. ზარქუა ე. ა. — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველოს უფროსი
3. ხაჩიძე მ. ი. — საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი
4. ხავთასი მ. ი. — მახარაძის რაიონის განათლების განყოფილების გამგე
5. ჯაყელი ვ. ნ. — ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სოფელ ანასეულის ფილიალის დირექტორი
6. კუტუბიძე ვ. ვ. — ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სოფელ ჩაქვის ფილიალის ჩაის სელექციის განყოფილების გამგე
7. ალავერდაშვილი ნ. ი. — საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობის განყოფილების გამგე
8. შუბლაძე ვ. ა. — ნორჩ ნატურალისტთა რესპუბლიკური სადგურის დირექტორი
9. ლაფაჩი გ. გ. — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველოს ინსპექტორი
10. ვასპარაშვილი ნ. ა. — ნორჩ ნატურალისტთა რესპუბლიკური სადგურის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგე

**რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მომსახურებითი
შრომის სწავლების მდგომარეობისა და გაუმჯობესების
ღონისძიებათა შესახებ**

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიამ, განიხილა რა სკოლების სამმართველოს ცნობა „რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მომსახურებითი შრომის სწავლების მდგომარეობის შესახებ“ გადაწყვეტა:

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ო, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებათა გამგებმა, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს უფროსმა:

1. 1. აღნიშნული ცნობის საფუძველზე განიხილონ მომსახურებითი შრომის სწავლების მდგომარეობა კოლეგიებსა და სახალხო განათლების საბჭოების სხდომებზე, დასახონ კონკრეტული ღონისძიებები სწავლების შემდგომი გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად;

1. 2. შეიმუშაონ 1985 წლის ბოლომდე მომსახურებითი შრომის კაბინეტების შექმნის პერსპექტიული გეგმა იმ ანგარიშით, რომ 1985 - 1990 წლებში ყველა რვაწლიან და საშუალო სკოლაში, სადაც მოსწავლეთა კონტინგენტი ამის შესაძლებლობას იძლევა, ისწავლებოდეს მომსახურებითი შრომა, კონტროლი დააწესონ მის განხორციელებაზე;

1. 3. შეისწავლონ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მომსახურებითი შრომის კაბინეტებში არსებული საკერავი მანქანების, გაზქურების, ელექტროქურებისა და სხვა დანადგარების სწავლების პროცესში გამოყენების მდგომარეობა და გაატარონ ქმედითი ღონისძიებები მათი დანიშნულებისამებრ გამოყენების უზრუნველსაყოფად;

1. 4. განამტკიცონ მომსახურებითი შრომის სწავლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, გააძლიერონ მომთხოვნელობა, ხელმძღვანელობა და კონტროლი მისი განმტკიცებისათვის. ქმედითი დახმარება გაუწიონ მასწავლებლებსა და სკოლის დირექტორებს მომსახურებითი შრომის სწავლების გაუმჯობესების საქმეში;

1. 5. მოაგვარონ მომსახურებითი შრომის კაბინეტებში მეცადინეობის, პრაქტიკული სამუშაოებისა და სხვა ღონისძიებების ჩატარების დროს უსაფრთხოების ტექნიკის, საწარმოო სანიტარიისა და ჰიგიენის ნორმების დაცვა;

1. 6. უზრუნველყონ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში წრებრივი მუშაობის გაუმჯობესება, ნორჩ მკერავთა და კულინართა შინასას-



კოლო და რაიონული კონკურსების მოწყობა, გამარჯვებულ მოსწავლე-თა წახალისება.

2. მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალურმა ინსტიტუტმა (ამხ. გ. გვათუა):

2. 1. განსაკუთრებული ყურადღებით დაგეგმოს იმ მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების ღონისძიებები, რომლებიც არასპეციალისტები არიან ან წარმოებიდან მოვიდნენ სამუშაოდ და არ აქვთ პედაგოგიური განათლება;

2. 2. შეისწავლოს რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მოწინავე მასწავლებელთა მუშაობის გამოცდილება და უზრუნველყოს მათი განზოგადება სკოლების პედაგოგიურ კოლექტივებში.

3. ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა (ამხ. შ. ამონაშვილი):

3. 1. მომსახურებითი შრომის მასწავლებელთა მეთოდური დახმარებისა და გამოცდილების განზოგადების მიზნით პედაგოგიურ კითხვებში განსაკუთრებით გააფართოოს საგნის სწავლების მეთოდებისა და ხერხების სრულყოფის, წრეობრივ, საზოგადოებრივ სასარგებლო და მწარმოებლურ შრომაში მოსწავლეთა მონაწილეობის ამსახველი თემატიკა;

3. 2. მომდევნო ხუთწლიანი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გეგმაში (1986—1990 წ. წ.) გაითვალისწინოს მომსახურებითი შრომის მეთოდის მცნიერული პრობლემების დამუშავება;

3. 3. 1987 წლამდე გადაამუშაოს მომსახურებითი შრომის პროგრამა იმგვარად, რომ მასში აისახოს ქართული ნაციონალური კულინარიის დამზადებისა და ტანსაცმლის შეკერვის საკითხები.

4. სახელმძღვანელოების სამმართველომ (ამხ. ნ. ღლონტი):

4. 1. უზრუნველყოს მომსახურებითი შრომის ქართული ორიგინალური სახელმძღვანელოს (V-VII კლასებისათვის) მომზადება და 1988 წლის აგვისტომდე გამოცემა;

4. 2. 1984 წლის ბოლომდე ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგის მეცნიერებათა ინსტიტუტთან ერთად შეარჩიოს ავტორთა კოლექტივები და 1985—1988 წლებში უზრუნველყოს მასწავლებელთა დამხმარე მეთოდური ლიტერატურის შექმნა და გამოცემა;

— ეროვნულ ხალხურ მხატვრულ ნაკეთობათა (ქარგვა, ქსოვა, თელვა, ხისა და ქვის მხატვრული დამუშავება, ეროვნული კერამიკა, ჭედურობა) სწავლების მოწინავე გამოცდილების მეთოდური კრებულის შექმნა და გამოცემა, მოცულობა 10-15 თაბახი;

— მომსახურებითი შრომის სწავლების მეთოდის რუსულიდან ქართულ ენაზე თარგმნა და 1985—1986 სასწავლო წლისათვის გამოცემა;

— მასწავლებელთა დამხმარე სახელმძღვანელოს „ქართული სამ-
ზარეულოს“ მომზადება და 1987—1988 სასწავლო წლისათვის გამო-
ცემა, მოცულობა 15-20 თაბახი.

5. მომარაგების მთავარმა სამმართველომ (ამხ. კ. ძლიერიშვილი):

5. 1. მომსახურებითი შრომის სწავლების გაუმჯობესების უზრუნ-
ველსაყოფად ყოველწლიურად მოამარაგოს სკოლები მოსწავლეთა პრაქ-
ტიკული საქმიანობისათვის საჭირო ნედლეულით, მასალებითა და დანა-
ღებებით;

5. 2. მომსახურებითი შრომის კაბინეტებისათვის საჭირო ფონდ-
ების განაწილება მოახდინოს განათლების განყოფილებების მიერ წარ-
მოდგენილი განაცხადების შესაბამისად.

6. გეგეჭკორის, სიღნაღის, ქარელისა და ზნაურის რაიონების სა-
ხალხო განათლების განყოფილებათა გამგეებმა (ამხ. ამხ. ა. ხუროძე,
რ. ბეჟაშვილი, ვ. ბაქრაძე, ი. გაგლოვეი) განიხილონ საკითხი გეგეჭკო-
რის რაიონის სოფლების ჭყონის, ლეცავეს, ტალერის, მუხურჩის მე-2,
ბაღდის, გაჭედის, სიღნაღის რაიონის სოფლების ტიბანის, ქარე-
ლის რაიონის მე-2, მე-3, სოფლების რუისის 1-ლი, მე-3, ავლევის
შეშნისის, ბრეთის, კეხიჯვრის, ფცის, ზნაურის რაიონის 1-ლი, მე-2
ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დირექტორებისა და მომსახურები-
თი შრომის მასწავლებლების არაღამაკმაყოფილებელი მუშაობის შესა-
ხებ საგნის სწავლებისათვის სათანადო პირობების შექმნის საქმეში და
გაატარონ მათ მიმართ საჭირო ღონისძიებები.

7. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მომსახურებითი შრომის
სწავლებაზე არაღამაკმაყოფილებელი მეთოდური დანშარებისა და ხელ-
მძღვანელობისათვის ზნაურის, გეგეჭკორისა და სიღნაღის რაიონების
სახალხო განათლების განყოფილებათა შრომითი სწავლებისა და
პროფესიული ორიენტაციის ინსპექტორებს ვ. ფუხაევას, შ. ცანავას,
ი. გვარამიძეს მიეცეთ გაფრთხილება.

8. სკოლების სამმართველომ (ამხ. თ. ტატიშვილი) კონტროლი და-
აწესოს ამ გადაწყვეტილების შესრულებაზე.

კოლეგიის თავმჯდომარე,
მინისტრი **მ. ქინქლაძე**

ცნობა

რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მომსახურებითი შრომის სწავლების მდგომარეობის შესახებ

უკანასკნელ პერიოდში სახალხო განათლების ადგილობრივმა ორგანოებმა, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებმა საბაზო საწარმოების (ორგანიზაციების) დახმარებით მნიშვნელოვანი მუშაობა გასწიეს სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრკ მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 22 დეკემბრის № 1111 დადგენილების „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა სწავლებისა და აღზრდის და შრომისათვის მათი მომზადების შემდგომი სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ“ განსახორციელებლად.

მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მოსწავლეთა შრომითი აღზრდის, სწავლებისა და პროფესიული ორიენტაციის საქმე. მიზანმიმართული ღონისძიებები გატარდა მომსახურებითი შრომითი სწავლების გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად; გაფართოვდა მომსახურებითი შრომის კაბინეტების ქსელი, ამაღლდა გაკვეთილების მეთოდური დონე, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს რეკომენდაციით საქართველოს სსრ საფეიქრო მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელთა მიერ შემუშავებულ იქნა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების IV-VIII კლასებში მომსახურებითი შრომაში ჩამოსარიგებელი მასალების კომპლექტები, რაც კიდევ უფრო შეუწყობს ხელს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მომსახურებითი შრომის გაუმჯობესების საქმეს.

სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოებისა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მიერ გაწეული მუშაობის შედეგად საშფო

და საბაზო საწარმოების დახმარებით 1980 წელთან შედარებით რეს-
პუბლიკაში შესამჩნევად გაიზარდა მომსახურებითი შრომის კაბინეტ-
ბის ქსელი.

	ქალაქი			სოფელი			სულ ქალაქი და სოფელი		
	რეა- წლი- ანი	საშუ- ალო	სულ	რეა- წლი- ანი	საშუ- ალო	სულ	რეა- წლი- ანი	საშუ- ალო	სულ
1980 წ. სკოლების რაოდენობა	55	595	650	887	1101	1988	942	1492	2624
1980 წ. კაბინეტების რაოდენობა	8	295	298	16	157	173	19	452	471
1983 წ. სკოლების რაოდენობა	53	609	662	845	1145	1990	898	1754	2652
1983 წ. კაბინეტების რაოდენობა	7	363	370	39	232	271	46	595	641

რესპუბლიკის რიგი რაიონების სახალხო განათლების განყოფი-
ლებებს სკოლის შენობის ფართობისა და რაიონზე გამოყოფილ სასწავ-
ლო მანქანა-იარაღების გათვალისწინებით შედგენილი აქვთ რაიონის
სკოლებში მომსახურებითი შრომის კაბინეტების განვითარების პერს-
პექტიული გეგმები და თანმიმდევრული ხელმძღვანელობა და კონტრო-
ლი აქვთ დაწესებული კაბინეტების შექმნის მიმდინარეობაზე. მოსწავ-
ლე ახალგაზრდობის შრომითი აღზრდის სხვა მნიშვნელოვან საკი-
თებთან ერთად სახალხო განათლების საბჭოს სხდომებზე იხილავენ
მომსახურებითი შრომითი სწავლების მდგომარეობას, სახავენ ღონის-
ძიებებს სწავლების შემდგომი გაუმჯობესებისათვის. შრომითი სწავ-
ლებისა და პროფესიული ორიენტაციის ინსპექტორებს სათანადო კონ-
ტაქტი აქვთ დამყარებული საბაზო ორგანიზაციებთან, ერთობლივ მჭიდ-
რო კონტაქტში ეძებენ ოპტიმალურ გზებს IV-VIII კლასების მოსწავლე-
თა ნაყოფიერი, მწარმოებლური შრომის ორგანიზაციის უზრუნველსა-
ყოფად.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და საბაზო საწარმოების ერ-
თობლივი მუშაობის შედეგად კარგად მოეწყო მომსახურებითი შრომის

კაბინეტები ქ. თბილისის 1-ელ, 35-ე, 62-ე, 117-ე, 144-ე, 161-ე, ქ. ფოთის 1-ლ, მე-2, ქ. ქუთაისის მე-8, 34-ე, სიღნაღის რაიონის სოფელ ბოდბის, გეგეჭკორის რაიონის სოფლების მუხურჩის, ინჩხირისა და სხვა რაიონების ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში.

აღნიშნულ სკოლებში მომსახურებითი შრომის კაბინეტებისათვის შერჩეულია საკმაო ფართობის შესაფერისი სათავსოები, მოწყობილია მოსწავლეთა ინდივიდუალური სამუშაო ადგილები, კაბინეტები აღჭურვილია ტიპური ნუსხით გათვალისწინებული დგამ-ავეჯით, ინსტრუმენტებით, სამარჯვებით, საზომი მოწყობილობებით, საკერავი მანქანებით, ნაბეჭდი თვალსაჩინოებით, ინდივიდუალური დაცვის საშუალებებითა და სხვა. დაცულია უსაფრთხოებისა და სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმები.

რესპუბლიკის რიგი რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების IV-VIII კლასების მოსწავლეები წარმატებით მონაწილეობენ მწარმოებულ, საზოგადოებისათვის სასარგებლო ნაყოფიერ შრომაში.

ქ. ქუთაისის საწარმოო გაერთიანება „გელათმა“ ქ. ქუთაისის მე-8 და 34-ე საშუალო სკოლებში მოაწყო სასწავლო საამქრო, სადაც IV-VIII კლასების გოგონები თავისუფალ დროს სხვადასხვა ოპერაციებს ასრულებენ, მანქანაზე კერავენ გამოსაშვები პროდუქციის მარტივ დეტალებს, აუთოვებენ ქსოვილებს, აცლიან დამატებით ძაფებს, მონაწილეობენ მზა პროდუქციის შეკერვაში და სხვ.

განათლების განყოფილებების შრომითი სწავლებისა და პროფესიული ორიენტაციის სასკოლო ინსპექტორების თანმიმდევრული ხელმძღვანელობისა და კონტროლის შედეგად გაუმჯობესდა სკოლებში დირექციის შინასასკოლო ხელმძღვანელობა და კონტროლი. ამაღლდა საგნის მასწავლებელთა მეთოდური და მეცნიერული დონე, მასწავლებლები: მ. ხარტიკოვა (ქ. თბილისის 117-ე საშუალო სკოლა), ს. მელნიკოვა (თბილისის 35-ე საშუალო სკოლა), ე. კვიწინაძე (ქ. თბილისის 57-ე საშუალო სკოლა), ა. ებრაღიძე (ქ. თბილისის 51-ე საშუალო სკოლა), ქ. ცხოიძე (ფოთის 1-ლი საშუალო სკოლა), ჟ. ქაქუთია (გეგეჭკორის რაიონის სოფელ დიდი ჭყონის საშუალო სკოლა), ლ. აბუაშვილი (სიღნაღის რაიონის სოფელ ბოდბის საშუალო სკოლა), ნ. ძმანაშვილი (სოფელ წნორის მე-3 საშუალო სკოლა) და სხვები სისტემატურად ეცნობიან სწავლებაში დანერგილ მეთოდურ სიახლეებს, გაკვეთილებზე უნარიანად იყენებენ თვალსაჩინოებებს, სწავლების ტექნიკურ საშუალებას, ატარებენ ყველა ღონისძიებას, რათა მოსწავლეთა თეორიული ცოდნა მჭიდროდ დაუკავშირდეს პრაქტიკულ უნარ-ჩვევათა გამომუშავებას, ნაყოფიერად ხელმძღვანელობენ ნორჩ კულინართა და მკერავთა წრეებს, აწყობენ ნორჩ კულინართა და მკერავთა შინასასკოლო კონკურსებს, ეწყობა კონკურსში გამარჯვებული ნამუშევრების სასკოლო გამოფენები.

სათანადო მუშაობა ტარდება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მომსახურებითი შრომის მასწავლებელთა მეთოდური დახელოვნების, მათი გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების უზრუნველსაყოფად.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მოწინავე მასწავლებელთა მუშაობის გამოცდილების შესწავლისა და განზოგადების საქმეს. ქ. თბილისის მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტმა (ამხ. დ. თოდუა) შეისწავლა და განაზოგადა ქ. თბილისის 117-ე საშუალო სკოლის მომსახურებითი შრომის მასწავლებლის მ. ხარიტკოვას მუშაობა. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალურ და ზონალურ ინსტიტუტებში კვალიფიკაცია აიმაღლა მომსახურებითი შრომის 384 მასწავლებელმა, 1983 წელს ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ხელმძღვანელობით ჩატარდა მომსახურებითი შრომის მასწავლებელთა პედაგოგიური კითხვა.

ამასთან ერთად, შემოწმებით დადგინდა, რომ რესპუბლიკის რიგ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მომსახურებითი შრომის სწავლებაში შეინიშნება ნაკლოვანებები და დარღვევები.

რესპუბლიკის რიგი რაიონების სახალხო განათლების განყოფილებები ჯეროვან ყურადღებას არ უთმობენ მომსახურებითი შრომითი სწავლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების საქმეს. არ გააჩნიათ მომსახურებითი შრომის სწავლების კაბინეტების ქსელის გაფართოების პერსპექტიული გეგმები, აღრიცხული არ აქვთ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მომსახურებითი შრომის კაბინეტებში არსებული საკერავი მანქანები, გაჰქურები და სხვა ინვენტარი, არ სწავლობენ თითოეულ სკოლაში მომსახურებითი შრომის კაბინეტების შექმნის შესაძლებლობებს.

აღნიშნული უკონტროლობის გამო თერჯოლის რაიონის 14 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლიდან მომსახურებითი შრომის კაბინეტი მოუწყობელია 9 სკოლაში, ქარელის რაიონის 18 სკოლიდან — 15-ში, სიღნაღის რაიონის 14 სკოლიდან — 5-ში.

ანალოგიური მდგომარეობაა სხვა რაიონების ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებშიც. ამის გამო 1983 წლის 5 სექტემბრის მონაცემებით დიდია იმ სკოლების რაოდენობა, რომლებშიც არაა შექმნილი მომსახურებითი შრომის კაბინეტი.

შემოწმებით დადგინდა, რომ რესპუბლიკის რიგ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში არსებული მომსახურებითი შრომის კაბინეტები ვერ აკმაყოფილებენ თანამედროვე მოთხოვნებს სიღნაღის რაიონის სოფლების წნორის მე-3, ტიბანის, გეგეჭკორის რაიონის სოფლების სალხინოს, ლეხაინდრაოს, ბანძის, ქ. ფოთის მე-5, მე-7, მე-9, ქარელის რაიონის მე-2, მე-3, სოფელ რუისისა და სხვ. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მომსახურებითი შრომის კაბინეტები მოთავსებულია შეუფე-

ტებელ ოთახებში, მოუწყობელია მოსწავლეთა მზღვიდუალური სამუ-
შაო ადგილები, კაბინეტები უზრუნველყოფილი არაა ყველა საჭირო
დანადგარით, ხელსაწყო--იარაღებით, დაცული არაა უსაფრთხო მუშაო-
ბის წესები. ამასთან ერთად დადგინდა, რომ განათლების განყოფილე-
ბისა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ხელმძღვანელთა უკონტ-
როლობისა და უპასუხისმგებლო დამოკიდებულების შედეგად რესპუბ-
ლიკის რიგი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მომსახურებითი
შრომის კაბინეტებში საკერავი მანქანები წლების განმავლობაში და-
ზიანებულია და გამოუყენებელია მოსწავლეთა პრაქტიკული საქმიანო-
ბისათვის, მაგალითად, ქარელის რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო
სკოლებში არსებული მანქანების 80% დაზიანებულია, სიღნაღის რაიონის
ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში — 40%, გეგეჭკორის რაიონ-
ში — 37%, ქ. თბილისის 47-ე საშუალო სკოლაში არსებული საკერა-
ვი მანქანიდან არც ერთი არ მუშაობს. ანალოგიური მდგომარეობაა რეს-
პუბლიკის სხვა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში. იმის გამო, რომ
რაიონების სახალხო განათლების განყოფილებების შრომითი სწავლე-
ბისა და პროფესიული ორიენტაციის ინსპექტორებს კონტროლი არ აქვთ
დაწესებული მომსახურებითი შრომის კაბინეტებში არსებულ სასწავლო
დანადგარებით აღჭურვილობის მდგომარეობაზე, ხშირია შემთხვევები,
როდესაც მომსახურებითი შრომის სწავლებისათვის განკუთვნილი სას-
წავლო დანადგარები ნაწილდება ისეთ სკოლებზე, რომლებშიც მოსწავ-
ლეთა კონტინგენტის სიმცირის გამო, მომსახურებითი შრომა არ ისწავ-
ლებია.

მაგალითად, გეგეჭკორის რაიონის სოფლების ნამიკოლავოს,
ნაჩილაჩავოს, ქარელის რაიონის სოფლების ხეობის, აბანოს, ლეთე-
თის, თერჯოლის რაიონის სოფლების ტყიბულჰესის, გოგნის რვაწლიან
ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებს აქვთ საკერავი მანქანები. აღნიშნულ
სკოლებში მოსწავლეთა კონტინგენტის სიმცირის გამო მომსახურებითი
შრომა არ ისწავლება, არ მუშაობენ ნორჩ მკერავთა წრეები, ამიტომ სა-
კერავი მანქანები გამოუყენებელია. ამავე რაიონებში ბევრია ისეთი
სკოლები, სადაც მომსახურებითი შრომა ისწავლება, მაგრამ საკერავი
მანქანები, საერთოდ, არ აქვთ. ანალოგიური მდგომარეობაა გაზქურე-
ბით, ელექტროქურებითა და საჭირო სხვა დანადგარებით კაბინეტების
აღჭურვის მხრივ.

შემოწმებით გამოირკვა, რომ რესპუბლიკის რიგი რაიონების გა-
ნათლების განყოფილებები არასათანადო ყურადღებას უთმობენ შრო-
მითი აღზრდის, სწავლებისა და პროფესიული ორიენტაციის გაუმჯობე-
ლების საქმეს.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების კომპლექსური შემოწმების
დროს სათანადო ყურადღება არ ექცევა მოსწავლე ახალგაზრდობის
შრომითი აღზრდის, სწავლებისა და პროფორიენტაციის მდგომარეობის

შესწავლას, შემოწმებები ტარდება მოუმზადებლად, წინასწარ შემუშავებული გეგმის გარეშე.

აღნიშნული მიზეზის გამო ხშირია შემთხვევები, როდესაც შრომითი აღზრდისა და სწავლების სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად მომსახურებითი შრომითი სწავლების მდგომარეობა შემოწმების გარეშე რჩება.

განათლების განყოფილებების მუშაობაში ჯერ კიდევ არ არის დანერგილი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ღირებულებებისა და ღირებულების მოადგილეების ანგარიშებისა და ინფორმაციების მოსმენა შრომითი აღზრდის გაუმჯობესების მიზნით ჩატარებული მუშაობის შესახებ. ამასთან ერთად, განათლების განყოფილებების შრომითი სწავლებისა და პროფესიული ორიენტაციის ინსპექტორებს სათანადო კონტროლი არ აქვთ დაწესებული მომსახურებითი შრომის სწავლების მდგომარეობაზე. ისინი კმაყოფილებიან მხოლოდ იმ სკოლების შემოწმებითა და მათთვის მეთოდური დახმარებით, რომლებიც გათვალისწინებულია განათლების საბჭოზე განსახილველად, ხოლო ცალკეულ სკოლებს მეთოდურ დახმარებას არ უწევენ. შემოწმებით გამოირკვა, რომ ქარელის, გეგეჭკორის (ინსპექტორი შ. ცანავა), თერჯოლის (ინსპექტორი ი. კვასაფელიძე), სიღნაღის (ინსპექტორი რ. გვარამაძე) რაიონებისა და ქ. ფოთის (ინსპექტორი თ. კუხია) ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების საინსპექტორო შემოწმების წიგნებში შრომის ინსპექტორის შენიშვნები და მეთოდური რეკომენდაციები არაა შეტანილი.

შრომითი სწავლებისა და პროფესიული ორიენტაციის სასკოლო ინსპექტორების არასათანადო კონტროლის გამო რესპუბლიკის რიგ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მოღუწებულია ღირებულების შინა-სასკოლო ხელმძღვანელობა და მეთოდური დახმარება. აღნიშნული მიზეზების გამო დაბალ დონეზე ტარდება მომსახურებითი შრომის გაკვეთილები გეგეჭკორის რაიონის სოფელ ფონის (მასწავლებელი ჟ. კეკელია), სიღნაღის რაიონის სოფელ ტიბაანის (მასწავლებელი ქ. წაწალაშვილი), ქარელის რაიონის მე-2 (მასწავლებელი ქ. ჭონიშვილი), ქარელის მე-3 (მასწავლებელი ნ. აფარული), სოფელ რუისის 1-ლი (მასწავლებელი ც. ზირაქაშვილი) და სხვა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში. მომსახურებითი შრომის მასწავლებლები არ იცავენ პროგრამით გათვალისწინებულ საკითხებს, ვერ ფლობენ სწავლების მეთოდებსა და ხერხებს, არ იყენებენ თვალსაჩინოებას, მოსწავლეთა პრაქტიკული მუშაობის დროს არ იცავენ უსაფრთხო მუშაობის წესებს, ვერ ერკვევიან საპროგრამო საკითხებში, არ იციან თარგების დამზადება, საკეჩავი მანქანების კინემატიკური აგებულება, მანქანის უმარტივესი ელექტროწრედი, ვერ ფლობენ გვირისტის გავლებასა და სხვა ელემენტალურ საკითხებს.

შემოწმებული რაიონებისა და ქალაქების ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ერთ ნაწილში განათლების განყოფილებების უკონტრო-



ლობისა და არასათანადო ხელმძღვანელობის შედეგად მომსახურებითი შრომის სწავლება თვითღირებავა მიშვებული. აღნიშნული მიზეზის გამო თერჯოლის რაიონის მე-2, სოფლების ღვანკითის, კვახჭირის, რუფოთის, გეგეჭკორის რაიონის სოფლების კინჩხირის, ლეცავეს, ტალერის, ლეციცვაიეს, მუხურჩის, მეორე ბაღდის, ვაჭედლის, ქარელის რაიონის სოფლების ავლევის, ქებნისის, ბრეთის, კეხიჯვრის, რუსის მე-3, ფცის, ზნაურის რაიონის 1-ლ და მე-2 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ სკოლებში კლასების გაყოფა შესაძლებელია, მომსახურებითი შრომა არ ისწავლება.

რესპუბლიკის რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებები ჯეროვან ყურადღებას არ უთმობენ ზემდგომი ორგანოებიდან მიღებული ცირკულარული წერილების, კოლეგიის გადაწყვეტილებების შესრულებას. ქარელის, გეგეჭკორის, სიღნაღისა და თერჯოლის რაიონების განათლების განყოფილებებსა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში არ განუხილავთ ისეთი მნიშვნელოვანი დოკუმენტები, როგორიცაა „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების IV-VIII კლასების მოსწავლეთა შრომითი სწავლების, აღზრდისა და პროფესიული ორიენტაციის მდგომარეობისა და მისი შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“; „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ნორჩ მკერავთა 1-ლი რესპუბლიკური კონკურსის შედეგებისა და მე-2 რესპუბლიკური კონკურსის ჩატარების შესახებ“, „რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სასწავლო სახელოსნოებისა და მომსახურებითი შრომის კაბინეტების საზოგადოებრივი დათვალიერების ჩატარების შესახებ“ და სხვ.

აღნიშნული რაიონების სკოლებში არ ფუნქციონირებს ნორჩ მკერავთა და კულინართა წრეები, არ ეწყობა ნორჩ მკერავთა სასკოლო და სარაიონო კონკურსები, მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენები.

დაბალ ღონეზეა მომსახურებითი შრომის მასწავლებელთა შორის მეთოდური მუშაობა, ნაკლებად ხდება მოწინავე მასწავლებელთა გამოცდილების განზოგადება, მუშაობაში დანერგვა, რიგ რაიონებში შექმნილი არაა მასწავლებელთა სასკოლო და სასკოლათაშორისო მეთოდური გაერთიანებები, ნაკლები ყურადღება ექცევა დამწყებ და სტაჟიორ მასწავლებლებთან მუშაობას, არ ეწყობა რაიონის მასწავლებელთა პედაგოგიური კითხვები, არ ხდება შინასასკოლო კონტროლისა და ხელმძღვანელობის განზოგადება და სხვ.

რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მომსახურებითი შრომითი სწავლების შემოწმებამ ცხადყო, რომ სკოლის დირექტორების გარკვეული ნაწილი სამართლიან პრეტენზიებს გამოთქვამს იმის შესახებ, რომ განათლების სამინისტროს მომარაგების მთავარი სამმართველოდან სკოლები მცირე რაოდენობით ღებულობენ კაბინეტის აღჭურვილობას.

სკოლების სამმართველო

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1984 წლის
22 ივნისის ბ რ ა ნ ე ზ ა № 477

ნორჩ მათემატიკოსთა 28-ე რესპუბლიკური ოლიმპიადის
შედეგებისა და 29-ე რესპუბლიკური ოლიმპიადის
ჩატარების ღონისძიებათა შესახებ

28-ე რესპუბლიკური ოლიმპიადის სასკოლო ტურში მონაწილეობა მიიღო 5300 მოსწავლემ, მათ შორის 2100-მა სოფლის სკოლებიდან; საქალაქო (სარაიონო) ტურში — 2530-მა, მათ შორის 1210-მა სოფლის სკოლებიდან. ზონალურ ტურში მონაწილეობის მისაღებად გამოცხადდა 1842 მოსწავლე, მათგან 670 სოფლის სკოლებიდან იყო, რესპუბლიკური ოლიმპიადის დასკვნით ტურში კი მონაწილეობდა 256 მოსწავლე, რომელთაგან გამარჯვებული გამოვიდა 28, მათ შორის I ხარისხის სიგელით დაჯილდოვდა 2, II ხარისხის სიგელით — 13, III ხარისხის სიგელით — 13.

1983—1984 სასწავლო წელს რესპუბლიკის სკოლებმა სერიოზული მუშაობა ჩაატარეს ოლიმპიადის სასკოლო, სარაიონო (საქალაქო) ზონალური და დასკვნითი ტურებისათვის მოსწავლეთა მოსამზადებლად, რის შედეგადაც რიგი სკოლებიდან ოლიმპიადებზე წარგზავნილმა მოსწავლეებმა სასურველ შედეგებს მიაღწიეს.

რესპუბლიკური ოლიმპიადის დასკვნით ტურზე კარგი შედეგები გამოავლინეს ქ. თბილისისა და ქ. ქუთაისის ფიზიკა-მათემატიკური საშუალო სკოლა-ინტერნატების, ქ. თბილისის 42-ე, 155-ე, ქ. ცხინვალის მე-6, ქ. სოხუმის მე-2 საშუალო სკოლების მოსწავლეებმა. აღსანიშნავია, რომ ოლიმპიადის დასკვნით ტურში გაიმარჯვა ქ. თბილისის ფიზიკა-მათემატიკური საშუალო სკოლა-ინტერნატის 13-მა მოსწავლემ, ხოლო ქ. თბილისის 42-ე საშუალო სკოლიდან რესპუბლიკურ ტურზე მოსული 18 მოსწავლიდან გაიმარჯვა 8 მოსწავლემ და სიგელები დაიმსახურა. საკავშირო ოლიმპიადაზე გაგზავნილი რესპუბლიკის გუნდიდან 2-მა მოსწავლემ მეორე და მესამე ხარისხის დიპლომები და ერთ-მა სიგელი დაიმსახურა, რის შედეგადაც თბილისის ფიზიკა-მათემატიკური სკოლა-ინტერნატის მე-8 კლასის მოსწავლე ვ. ხუდაკოვი მომავალ წელს საკავშირო ოლიმპიადაზე მონაწილეობას მიიღებს კონკურსის გარეშე.

მაგრამ იგივე არ ითქმის რესპუბლიკის სხვა რაიონების სკოლებზე. შეინიშნება, რომ სათანადო ყურადღება არ ექცევა მოსწავლეთა შორის კლასგარეშე მუშაობის ორგანიზაციას. დაბალ დონეზე დგას მათემატიკის საგნობრივი წრეების მუშაობა, წრის მეცადინეობებზე არ ხდება საინტერესო და ორიგინალური ამოცანების, ცოცხალი და პრაქტიკული სავარჯიშოების განხილვა, არ ეწყობა მათემატიკური საღამოები, ვიქ-

ტორინები, არ გამოდის მათემატიკის წრის მიერ მომზადებული კედლის გაზეთები, არ ხდება ფაკულტატიური მეცადინეობისათვის სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საათების მიზნობრივი გამოყენება, მოსწავლეებში არ არის აღძრული მათემატიკის საგნისადმი სიყვარული, ოლიმპიადებში მონაწილეობის სურვილი და ინტერესი. უკანასკნელი ორი-სამი წლის განმავლობაში რესპუბლიკურ ტურზე არც ერთი მოსწავლე არ წარმოდგენილია გურჯაანის, მაიაკოვსკის, მესტიის, ლენტეხის, ლავოდეხის, წითელწყაროს, სიღნაღისა და მთელი რიგი სხვა რაიონების სკოლებს. ზოგჯერ რესპუბლიკურ ტურზე იგზავნება სრულიად შეუფერებელი კონტინგენტი, რომელსაც არა თუ განსაკუთრებული ნიჭი და სასკოლო პროგრამის გარეშე საკითხებზე მუშაობის უნარი აქვს, არამედ სასკოლო პროგრამასაც კი ვერ ფლობს დამაკმაყოფილებლად. ამით აიხსნება, რომ რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე მოსული მე-8 კლასის 49 მოსწავლიდან მხოლოდ 12-მა (26%), მე-9 კლასის 30 მოსწავლიდან 3-მა (10%) და მე-10 კლასის 177 მოსწავლიდან 13-მა (7%) გაიმარჯვა. აფხაზეთის ასსრ სკოლებიდან რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე 31 მოსწავლე მონაწილეობდა, მათგან მხოლოდ ერთმა გაიმარჯვა, სამმა მიიღო 2 და 3 ქულა, დანარჩენმა 27-მა მოსწავლემ 0 და 1 ქულა მიიღო. ძალზე ცუდი შედეგები გამოვლინდა აჭარის ასსრ, ქ. რუსთავის, ქ. გორის, ჭიათურის, ახალციხის, თეთრი წყაროს, კასპის, ონისა და სხვა რაიონების სკოლებიდან რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე მოსულ მოსწავლეთა ნამუშევრების ანალიზის შედეგად. მოსწავლეთა უმეტესმა ნაწილმა არ იცის „აუცილებელი და საკმარისი პირობის“ აზრი და ლოგიკური შინაარსი, მარტივი და შედგენილი რიცხვები, მოკლებულია სივრცითი წარმოდგენის უნარს, უჭირს გეომეტრიული და სხვა სახის ამოცანების გამოყვანა.

გ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. დამტკიცდეს რესპუბლიკური ოლიმპიადის ჟიურის გადაწყვეტილების საფუძველზე წარმოდგენილ გამარჯვებულ მოსწავლეთა სია, რომლის მიხედვით დაჯილდოვდეს 26 მოსწავლე, მათ შორის I ხარისხის სიგელით — 2, II ხარისხის სიგელით — 13 და III ხარისხის სიგელით — 13 მოსწავლე (დანართი 1).

2. 29-ე რესპუბლიკური ოლიმპიადის სასკოლო ტური ჩატარდეს 1984 წლის დეკემბერში, რაიონული (საქალაქო) 1985 წლის იანვარში, ზონალური — 1985 წლის 10 თებერვალს, დასკვნითი ტური — 1985 წლის 27-28 მარტს, სასკოლო და რაიონული (საქალაქო) ტურების ზუსტი თარიღი განისაზღვროს შესაბამის განათლების განყოფილებათა მიერ.

3. ნორჩ მათემატიკოსთა 29-ე რესპუბლიკური ოლიმპიადის ხელმძღვანელობისათვის დამტკიცდეს რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით:

1. ჭანტურია ზ. ა. — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიკოს ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგე, ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა დოქტორი
2. გიორგობიანი გ. გ. — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოს სასკოლო ინსპექტორი (თავმჯდომარის მოადგილე)
3. მუსერიძე ლ. ლ. — თბილისის ვ. მ. კომაროვის სახელობის ფიზიკა-მათემატიკური საშუალო სკოლა-ინტერნატის მასწავლებელი (მდივანი)
4. ალავერდაშვილი ნ. მ. — საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობის განყოფილების გამგე
5. თოფურია ს. მ. — თბილისის ვ. ი. ლენინის სახ. სახელმწიფო პოლიტექნიკური ინსტიტუტის მათემატიკის კათედრის გამგე, პროფესორი
6. ბალაბანოვი ვ. ბ. — თბილისის ა. ს. პუშკინის სახ. სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის მათემატიკის კათედრის გამგე
7. ლომსიანიძე ზ. ა. — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოს მთავარი ინსპექტორი
8. ოგნანიაძე რ. დ. — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტის მათემატიკის მეთოდური კაბინეტის გამგე
9. ერაძე გ. თ. — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს რესპუბლიკური სასწავლო-მეთოდური კაბინეტის განყოფილების გამგე
10. ლავეილავა ვ. ლ. — თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს სასკოლო ინსპექტორი
11. დილდაროვა ს. კ. — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველოს უფროსის მოადგილე
12. ცხადაია ა. ლ. — თბილისის ვ. მ. კომაროვის სახელობის ფიზიკა-მათემატიკური საშუალო სკოლა-ინტერნატის დირექტორი
13. გოლიძე ლ. ა. — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს რესპუბლიკური სასწავლო-მეთოდური კაბინეტის მეთოდისტი
14. ხარაბაძე ე. გ. — მცხეთის რაიონის განათლების განყოფილების გამგე
15. მოშაშვილი რ. ს. — თბილისის 42-ე საშუალო სკოლის მასწავლებელი

4. რესპუბლიკის სკოლებმა, სასკოლო, საქალაქო (სარაიონო), ზონალური და რესპუბლიკური ოლიმპიადების საორგანიზაციო კომიტეტებმა განუხრელად იხელმძღვანელონ განათლების სამინისტროს კოლეგიის მიერ 1980 წლის 25 სექტემბერს დამტკიცებული ოლიმპიადის ჩატარების დებულებით.

5. დაევალოს რესპუბლიკურ საორგანიზაციო კომიტეტს უხელმძღვანელოს ოლიმპიადის მომზადება-ჩატარებას, პერიოდულად შეამოწმოს ოლიმპიადისათვის მზადების საკითხი, ჩაატაროს მოსამზადებელი მუშაობა.

6. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის რაიონებისა და ქალაქების განათლების გასყოფილებათა გამგეებმა, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველომ:

ა) უზრუნველყონ მათემატიკის 28-ე რესპუბლიკური ოლიმპიადის შედეგების განხილვა მათემატიკის მასწავლებელთა სექციების სხდომებზე;

ბ) უფრო მასობრივი გახადონ ოლიმპიადაში მოსწავლეთა მონაწილეობა, რისთვისაც ჯეროვანი ყურადღება მიაქციონ კლასგარეშე მუშაობას, ფაქულტატიური და გაღრმავებული სწავლების შემდგომი გაუმჯობესების საქმეს.

7. საგეგმო-საფინანსო სამმართველომ (ამხ. ო. კერესელიძე) თბილისის ვ. მ. კომაროვის სახელობის ფიზიკა-მათემატიკურ საშუალო სკოლა-ინტერნატს 1985 წლისათვის გამოუყოს საჭირო თანხა ოლიმპიადის ჩასატარებლად.

8. მომარაგების მთავარმა სამმართველომ (ამხ. კ. ძლიერიშვილი) თბილისის ვ. მ. კომაროვის სახელობის ფიზიკა-მათემატიკური საშუალო სკოლა-ინტერნატი უზრუნველყოს ოლიმპიადისათვის საჭირო ქალაქიდან.

9. ოლიმპიადაზე გამარჯვებული მოსწავლეები, გარდა დაწესებული I, II, III ხარისხის სიგელებისა, დაჯილდოვდნენ ფასიანი საჩუქრებით, საჭირო ხარჯები კი გათვალისწინებულ იქნას ოლიმპიადის ჩატარების ხარჯთაღრიცხვაში.

10. კონტროლი ამ ბრძანების შესრულებაზე დაევალოს სკოლების სამმართველოს (ამხ. თ. ტატიშვილი).

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1984 წლის 21 ივნისის გადაწყვეტილება.

მინისტრი ო. ჟინქაძე

**ნორჩ მათემატიკოსთა 28-ე რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე
გამარჯვებულ მოსწავლეთა სია**

I ხარისხის სიგელით

მე-10 კლასი

1. მარგველაშვილი გენადი ნოდარის ძე — თბილისის ვ. მ. კომაროვის სახელობის ფიზიკა-მათემატიკური საშუალო სკოლა-ინტერნატი
2. კამკამიძე გიორგი კონსტანტინეს ძე — თბილისის 42-ე საშუალო სკოლა

მე-10 კლასი

II ხარისხის სიგელით

1. ვადაჭკორია ალექსანდრე ლევანის ძე — თბილისის ვ. მ. კომაროვის სახელობის ფიზიკა-მათემატიკური საშუალო სკოლა-ინტერნატი
2. სურმანიძე ოთარ ალექსანდრეს ძე — თბილისის ვ. მ. კომაროვის სახელობის ფიზიკა-მათემატიკური საშუალო სკოლა-ინტერნატი
3. კარუხაშვილი ნუგზარ გიორგის ძე — თბილისის ვ. მ. კომაროვის სახელობის ფიზიკა-მათემატიკური საშუალო სკოლა-ინტერნატი
4. ქავთარაძე ვასილ ოთარის ძე — ღუშეთის რაიონის დაბა ფასანაურის საშუალო სკოლა

მე-9 კლასი

1. მებარიშვილი მერაბ პეტრეს ძე — ქ. თბილისის ვ. მ. კომაროვის სახელობის ფიზიკა-მათემატიკური საშუალო სკოლა-ინტერნატი

მე-8 კლასი

1. პაატაშვილი თამარ ვახტანგის ასული — თბილისის ვ. მ. კომაროვის სახელობის ფიზიკა-მათემატიკური საშუალო სკოლა-ინტერნატი
2. ხელაშვილი ილია ალბერტის ძე — თბილისის ვ. მ. კომაროვის სახელობის საშუალო სკოლა-ინტერნატი
3. ქუჩულორია დავით სერგოს ძე — თბილისის ვ. მ. კომაროვის სახელობის ფიზიკა-მათემატიკური საშუალო სკოლა-ინტერნატი
4. ხუდაკოვი ვენიამინ დავითის ძე — თბილისის ვ. მ. კომაროვის სახელობის ფიზიკა-მათემატიკური საშუალო სკოლა-ინტერნატი
5. ცერელოვი ალექსანდრე რობერტის ძე — თბილისის 42-ე საშუალო სკოლა
6. ბარნაველი თამაზ თენგიზის ძე — თბილისის 42-ე საშუალო სკოლა
7. იმნაძე კახა გურამის ძე — თბილისის 155-ე საშუალო სკოლა

8. სიზანიშვილი ბაჩუკ გურამის ძე — ქუთაისის ფიზიკა-მათემატიკური საშუალო სკოლა-ინტერნატი

III ხარისხის სიგელით

მე-10 კლასი

1. ავალიშვილი ანა გიორგის ასული — თბილისის 42-ე საშუალო სკოლა

მე-9 კლასი

1. გოგოლაძე გელა ჯემალის ძე — თბილისის ვ. მ. კომაროვის სახელობის ფიზიკა-მათემატიკური საშუალო სკოლა-ინტერნატი
2. კალინინი ლევან მიხეილის ძე — თბილისის ვ. მ. კომაროვის სახელობის საშუალო სკოლა-ინტერნატი
3. გახარია გია ოთარის ძე — ჩხოროწყუს რაიონის სოფელ შუხურის საშუალო სკოლა
4. ვერბიციი იგორ მიხეილის ძე — სოხუმის მე-2 საშუალო სკოლა

მე-8 კლასი

1. ბოლოთაშვილი მედეა ბორისის ასული — თბილისის ვ. მ. კომაროვის სახელობის ფიზიკა-მათემატიკური საშუალო სკოლა-ინტერნატი
2. ჩხარტიშვილი ალექსანდრე გედევანის ძე — თბილისის ვ. მ. კომაროვის სახელობის ფიზიკა-მათემატიკური საშუალო სკოლა-ინტერნატი
3. ქინქლაძე თამარ ნოდარის ასული — თბილისის ვ. მ. კომაროვის სახელობის ფიზიკა-მათემატიკური საშუალო სკოლა-ინტერნატი
4. ხუჭუა ბესიკ ომარის ძე — თბილისის 42-ე საშუალო სკოლა
5. ერისთავი ნინა დავითის ასული — თბილისის 42-ე საშუალო სკოლა
6. აიაზიანი ნიკოლოზ ავეტოსის ძე — თბილისის 42-ე საშუალო სკოლა
7. გოდერძიშვილი ირინა ზაურის ასული — თბილისის 42-ე საშუალო სკოლა
8. ტიბილოვი ახზარ სოსლანის ძე — ცხინვალის მე-6 საშუალო სკოლა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1983 წლის 22 ივნისის ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 478

დ. ი. მენდელეევის დაბადების 150 წლისთავისადმი მიძღვნილი
ნორჩ ქიმიკოსთა 37-ე რესპუბლიკური ოლიმპიადის
შედეგებისა და 38-ე რესპუბლიკური ოლიმპიადის
ჩატარების შესახებ

ნორჩ ქიმიკოსთა 37-ე რესპუბლიკური ოლიმპიადის ზონალურ
ტურში მონაწილეობა მიიღო რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო
სკოლების მე-8—მე-10 კლასების 1623 მოსწავლემ, რომლებმაც წარ-
მატებით გაიარეს სასკოლო და რაიონული ეტაპები. ზონალური ტურის
შედეგების მიხედვით დასკვნით ტურზე დაშვებულ იქნა 155 მოსწავლე,
რომელთაგან მონაწილეობა მიიღო 127 მოსწავლემ.

ოლიმპიადის დასკვნითი ეტაპის თეორიული და ექსპერიმენტული
ტურები ორგანიზებულად, არსებული დებულების სრული შესაბამისო-
ბით ჩატარდა, მოსწავლეთა 41,7%-მა საოლიმპიადო ამოცანების ამო-
ხსნისა და ქიმიური ექსპერიმენტის ჩატარების დამაკმაყოფილებელი
ცოდნა გამოამჟღავნა. თეორიული და ექსპერიმენტული ტურების შედე-
გების მიხედვით გამარჯვებულად ჩაითვალა და სიგელებით დაჯილდოვ-
და 54 მოსწავლე.

გარკვეული წარმატებით აღინიშნა საქართველოს ნაკრები გუნდის
გამოსვლა მოსწავლეთა მე-18 საკავშირო ოლიმპიადაზე. აქტიური
მონაწილეობისათვის გუნდი დაჯილდოვდა ტაჯიკეთის ალკა ცენტრა-
ლური კომიტეტის საპატიო სიგელით. გუნდის ერთმა წევრმა დაიმსახუ-
რა მესამე ხარისხის დიპლომი და სპეციალური პრიზი.

ოლიმპიადისათვის მოსწავლეთა მომზადების საქმეში კარგად იმუ-
შავეს თბილისის 1-მა, მე-18, 22-ე, 23-ე, 42-ე, ქუთაისის მე-10, მე-
13, რუსთავის მე-3, მე-10, მე-15, ჭიათურის მე-10, წულუკიძის რუ-
სულმა საშუალო სკოლებმა, თბილისის ვ. მ. კომაროვის სახელობის ფი-
ზიკა-მათემატიკურმა საშუალო სკოლა-ინტერნატმა, რომელთა აღსა-
ზრდელებმა საოლიმპიადო ამოცანების ამოხსნის კარგი ცოდნა გამო-
ამჟღავნეს.

ამასთან ერთად გამოვლინდა, რომ სკოლების გარკვეული ნაწილი
ზერეღედ ეკიდება მოსწავლეებთან კლასგარეშე და წრეობრივ მუშაო-
ბას. ნაკლებად ზრუნავს საგნით დაინტერესებული მოსწავლეების თეო-
რიული და ექსპერიმენტული ცოდნის ამაღლებისა და ამოცანების ამო-
ხსნის უნარ-ჩვევების განმტკიცებისათვის, სკოლებში მიზნობრივად არ
არის გამოყენებული ფაკულტატიური კურსის საგნის გაღრმავებულად
შესწავლისათვის.

კვლავ ადგილი აქვს სასკოლო, რაიონულ (საქალაქო) და ზონალურ ტურებზე მოსწავლეთა ნამუშევრების არაობიექტურად შეფასების შემთხვევებს, რაც იწვევს ოლიმპიადაში მონაწილეთა რიცხვის ხელოვნურად გაზრდას. ბოლნისის ზონის საორგანიზაციო კომიტეტმა ზონაში გამარჯვებულად ცნო 13 მოსწავლე, გადამოწმებით კი რესპუბლიკურ ტურზე დაშვებულ იქნა მხოლოდ 2, თელავის ზონიდან შესაბამისად 4-დან არც ერთი, ხოლო აფხაზეთის ასსრ — 39-დან — 6.

რიგი ზონების საორგანიზაციო კომიტეტები ნაკლებ კონტროლს უწევენ ტურის ჩატარების მიმდინარეობას, ვერ უზრუნველყოფენ მოსწავლეთა დამოუკიდებელ მუშაობას. ამის შედეგად წალკისა და თიანეთის რაიონებიდან გადმოგზავნილი ნამუშევრები სრულიად იდენტური აღმოჩნდა. ზოგჯერ კი საორგანიზაციო კომიტეტები არაობიექტურობას იჩენენ მოსწავლეთა ნამუშევრების შეფასების საქმეში. ამ მიზეზების გამო მიმდინარე წელს ქულები ჩამოაკლდა 150 მოსწავლეზე მეტს.

დასკვნით ტურზე დაშვებულ მოსწავლეთა გარკვეულმა ნაწილმა გამოამჟღავნა სრული უცოდინარობა და ვერ გაამართლა ზონალურ ტურზე მიღებული მაღალი ქულები, ნოლი ქულა დაიმსახურეს თბილისის 53-ე, 161-ე, (საგნის მასწავლებლები თ. კიკნაძე, ნ. ბარბაქაძე), ზუგდიდის რაიონის სოფელ ნარაზნის (საგნის მასწავლებელი ჭკადუა) და გორის მე-3 (მასწავლებელი მ. ქარელიძე) და სხვ. საშუალო სკოლების მოსწავლეებმა, რაც იმის შედეგია, რომ ზონის ცენტრის განათლების განყოფილებები და საორგანიზაციო კომიტეტები სათანადო პასუხისმგებლობით არ ეკიდებიან ტურის არსებულ რეგულაციებს შესაბამისად ჩატარებას და ოლიმპიადისათვის მოსწავლეთა მომზადებას. ცუდი მაჩვენებლები აქვთ აფხაზეთის ასსრ-ს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქს, ქ. ქ. გორს, ფოთს და მარნეულს, ანალქალაქის, თელავის, ლენტეხის, ყაზბეგისა და ცაგერის რაიონებს.

ე ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ნორჩ ქიმიკოსთა 37-ე რესპუბლიკურ ოლიმპიადაში მოპოვებული წარმატებებისათვის დაჯილდოვდეს 54 მოსწავლე, მათ შორის I ხარისხის სიგელით — 3 მოსწავლე, II ხარისხის სიგელით — 12 მოსწავლე, III ხარისხის სიგელით — 39 მოსწავლე (სია თან ერთვის).

2. 1984—1985 სასწავლო წელს ნორჩ ქიმიკოსთა 38-ე რესპუბლიკური ოლიმპიადა ჩატარდეს ოთხ ეტაპად: სასკოლო, რაიონული (საქალაქო), ზონალური და დასკვნითი. სასკოლო ტური ჩატარდეს 1984 წლის დეკემბერში, რაიონული (საქალაქო) — 1985 წლის იანვარში, ზონალური — 1985 წლის 3 თებერვალს, დასკვნითი — 1985 წლის 25-26 მარტს (25 მარტს ჩატარდეს თეორიული ტური, 26 მარტს — ექსპერიმენტული). სასკოლო და რაიონული (საქალაქო) ტუ-

რების ჩატარების თარიღს განსაზღვრავენ რაიონების (ქალაქების) განათლების განყოფილებები.

3. ოლიმპიადის ჩატარების ხელმძღვანელობისათვის შეიქმნას რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით:

1. თ. გ. ანდრონიკაშვილი — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო ნაწილში, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი, საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე
2. ზ. ა. ლომსიანიძე — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოს მთავარი ინსპექტორი, საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე
3. ა. გ. ზაქარიაშვილი — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოს სასკოლო ინსპექტორი, საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე
4. გ. გ. ეპიტაშვილი — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ნორმ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის დირექტორი, საორგანიზაციო კომიტეტის მდივანი

წევრები:

1. გ. ვ. ცინცაძე — თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის სახელმწიფო პოლიტექნიკური ინსტიტუტის ზოგადი და არაორგანული ქიმიის კათედრის გამგე, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი
2. გ. ვ. ჭირაქაძე — თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის სახელმწიფო პოლიტექნიკური ინსტიტუტის ორგანული ქიმიის კათედრის გამგე, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
3. ი. გ. ბახტაძე — თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ქიმიის კათედრის გამგე, დოცენტი
4. მ. ი. გვერდწითელი — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ორგანული ქიმიის კათედრის დოცენტი
5. ა. ი. ალავერდაშვილი — საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობის განყოფილების გამგე
6. ნ. ნ. ვეკუა — მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტის ქიმია-ბიოლოგიის კათედრის გამგის მოვალეობის შემსრულებელი, ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატი
7. ლ. ა. თევზაძე — მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტის ქიმია-ბიოლოგიის კათედრის მეთოდისტი, ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატი

8. შ. კაპანაძე — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტის ქიმიის კაბინეტის გამგე
 9. ც. ა. გაგოშიძე — ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელი
 10. გ. კემულარია — ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელი, პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატი
 11. მ. ი. სურგულაძე — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს რესპუბლიკური მეთოდური კაბინეტის მეთოდისტი
 12. ნ. ა. ჩალაგაშვილი — ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს სასკოლო ინსპექტორი
 13. მ. ი. გიგაური — ზ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის ქიმიის კაბინეტის გამგე
 14. გ. ბ. ლოგუა — თბილისის საღამოს 27-ე საშუალო სკოლის დირექტორი
 15. მ. ი. გოდერძიშვილი — თბილისის მე-4 საშუალო სკოლის ქიმიის მასწავლებელი
 16. გ. გ. შახნაზაროვი — თბილისის 63-ე საშუალო სკოლის ქიმიის მასწავლებელი
4. რესპუბლიკურმა საორგანიზაციო კომიტეტმა:
 4. 1. სისტემატური ხელმძღვანელობა და დახმარება გაუწიოს სკოლებსა და სკოლისგარეშე დაწესებულებებს ოლიმპიადის მომზადებისა და ჩატარების საქმეში;
 4. 2. შეარჩიოს და კომიტეტის სხდომაზე დაამტკიცოს რესპუბლიკური ოლიმპიადის ჟიურის შემადგენლობა;
 4. 3. ორგანიზაცია გაუკეთოს რესპუბლიკური ოლიმპიადის დასკვნითი ტურის ჩატარებას საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის მიერ 1984 წელს დამტკიცებული დებულების შესაბამისად.
 5. ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალურმა სადგურმა (ამხ. გ. ეპიტაშვილი):
 5. 1. 1984 წლის 1 ნოემბრამდე შეადგინოს და განათლების სამინისტროში დასამტკიცებლად წარმოადგინოს 38-ე რესპუბლიკური ოლიმპიადის ხარჯთაღრიცხვა;
 5. 2. შეარჩიოს და მოამზადოს ობიექტები ოლიმპიადის დასკვნითი ეტაპის თეორიული და ექსპერიმენტული ტურების ჩასატარებლად;
 5. 3. მოავგაროს ოლიმპიადის დასკვნითი ტურის მონაწილე მოსწავლეების მიღებისა და მომსახურების საკითხები.
 6. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, საზღვრეთ ოსეთის ა/ოლქის, რესპუბლიკის რაიონებისა და ქალაქების გა-

ნათლების განყოფილებებმა, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველომ:

6. 1. უზრუნველყონ ნორჩ ტექნიკოსთა 37-ე რესპუბლიკური ოლიმპიადის შედეგების განხილვა ქიმიის მასწავლებელთა სექციების სხდომებზე და საჭირო ღონისძიებების გატარება საგნის სწავლების შემდგომი გაუმჯობესებისათვის;

6. 2. ყოველმხრივ შეუწყონ ხელი ფაკულტატიური საათების ხარჯზე მოსწავლეთა თეორიული და პრაქტიკული უნარ-ჩვევების დონის ამაღლებას;

6. 3. მიადწიონ იმას, რომ ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში გაიხსნას ქიმიის გაღრმავებული სწავლების სკოლები ან კლასები, უზრუნველყონ მათი მატერიალური ბაზის განმტკიცება და საუკეთესო სპეციალისტებით დაკომპლექტება;

6. 4. გაზარდონ ქიმიის მასწავლებლების პასუხისმგებლობა ქიმიის ოლიმპიადებისათვის მოსწავლეთა მომზადების საქმეში; მეტი მომთხოვნელობა წაუყენონ ამ მიმართებით მეთოდურ კაბინეტებს და ოლიმპიადის ადგილობრივ საორგანიზაციო კომიტეტებს.

7. მომარაგების მთავარმა სამმართველომ (ამხ. კ. ძლიერიშვილი) 1985 წლისათვის ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალურ სადგურს ქიმიის 38-ე რესპუბლიკური ოლიმპიადის საჭიროებისათვის გამოუყოს ბრძანებების, დებულებების, ამოცანებისა და სიგელების დასაბეჭდად:

ა) ტიპოგრაფიული ქაღალდი — 500 კგ.;

ბ) ცარცის ქაღალდი 240 გრამიანი — 700 ფურცელი.

8. საგემო-საფინანსო სამმართველომ (ამხ. თ. კერესელიძე) ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის 1985 წლის ბიუჯეტში გაითვალისწინოს ქიმიის 38-ე რესპუბლიკური ოლიმპიადის ჩატარებისათვის საჭირო ხარჯები.

9. კონტროლი ამ ბრძანების შესრულებაზე დაეკისროს სკოლების სამმართველოს (ამხ. თ. ტატიშვილი).

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1984 წლის 21 ივნისის გადაწყვეტილება.

მინისტრი **ო. ქინძლავაძე**

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1983 წლის 23 ივნისის გადაწყვეტილებით

დ ე ზ უ ლ ე ზ ა

ნორჩ ქიმიკოსთა 38-ე რესპუბლიკური ოლიმპიადის ჩატარების შესახებ

1. ნორჩ ქიმიკოსთა 38-ე რესპუბლიკური ოლიმპიადის ატარებს საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის ბაზაზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის სახელმწიფო პოლიტექნიკური და თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტების მონაწილეობით.

2. ოლიმპიადის მიზნად ისახავს გააღრმავოს მოსწავლეთა მიერ სკოლაში მიღებული ცოდნა ქიმიაში, გამოავლინოს ნიჭიერი და საგნით დაინტერესებული მოსწავლეები, დაეხმაროს სკოლას ქიმიის სწავლების დონის ამაღლებაში.

3. ნორჩ ქიმიკოსთა ოლიმპიადის მონაწილეობის მიღება შეუძლიათ რვაწლიანი და საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, საღამოს სკოლების, სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების მე-8, 9, 10 (11) კლასების მოსწავლეებსა და აღსაზრდელებს.

4. ოლიმპიადის ხელმძღვანელობისათვის იქმნება:

ა) რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო;

ბ) ზონალური საორგანიზაციო კომიტეტები, რომელთაც ამტკიცებენ ზონის ცენტრების განათლების განყოფილებები, ზონალურ საორგანიზაციო კომიტეტში შეყვანილ უნდა იქნან ზონაში შემავალი რაიონების (ქალაქების) წარმომადგენლები;

გ) რაიონული (საქალაქო) საორგანიზაციო კომიტეტები, რომელთაც ამტკიცებენ რაიონების (ქალაქების) განათლების განყოფილებები;

დ) სასკოლო საორგანიზაციო კომიტეტები, რომელთაც ამტკიცებენ სკოლის დირექტორები.

5. რესპუბლიკური და ზონალური საორგანიზაციო კომიტეტები ქმნიან ჟიურის, ჟიური ადგენს ამოცანებს, ასწორებს მოსწავლეთა ნამუშევრებს და გამოყოფს გამარჯვებულებს.

6. რესპუბლიკური, ზონალური, რაიონული (საქალაქო) და სასკოლო საორგანიზაციო კომიტეტები ოლიმპიადის მონაწილე მოსწავლე-

ბისათვის აწყობენ მეცნიერ მუშაკთა და გამოცდილ პედაგოგთა ლექციებს მათთვის საჭირო თემებზე და ატარებენ პრაქტიკულ ვარჯიშებს საოლიმპიადო ამოცანების ამოხსნაზე.

7. ნორჩ ქიმიკოსთა ოლიმპიადა ტარდება ოთხ ტურად: პირველი — სასკოლო, მეორე — რაიონული (საქალაქო), მესამე — ზონალური და მეოთხე — რესპუბლიკური, ოთხივე ტური დასრუებულია.

პირველი ტური ტარდება სკოლაში, მეორე — რაიონის (ქალაქის) ცენტრში, მესამე — ზონის ცენტრში, მეოთხე — ქ. თბილისში.

ზონალური ტურის ჩასატარებლად რესპუბლიკა დაყოფილია 30 ზონად, ზონის ცენტრებად შერჩეულია:

1. ქ. თბილისი — ქ. თბილისის სკოლების მოსწავლეებისათვის
2. ქ. სოხუმი — აფხაზეთის ასსრ სკოლების მოსწავლეებისათვის
3. ქ. ბათუმი — აჭარის ასსრ სკოლების მოსწავლეებისათვის
4. ქ. ცხინვალი — სამხრეთ ოსეთის ა/ო სკოლების მოსწავლეებისათვის
5. ქ. რუსთავი — ქ. რუსთავისა და გარდაბნის რაიონის სკოლების მოსწავლეებისათვის
6. ქ. ქუთაისი — ქ. ქუთაისის, წყალტუბოს, ტყიბულის, მაიაკოვსკის რაიონების სკოლების მოსწავლეებისათვის
7. სამტრედია — სამტრედიის, ვანის, წულუკიძის რაიონების სკოლების მოსწავლეებისათვის
8. ზესტაფონი — ზესტაფონის, თერჯოლის, ორჯონიკიძის რაიონების სკოლების მოსწავლეებისათვის
9. ქ. ფოთი — ქ. ფოთის სკოლების მოსწავლეებისათვის
10. ცხაკაია — ცხაკაიას, აბაშის, ჩხოროწყუს და გეგეჭკორის რაიონების სკოლების მოსწავლეებისათვის
11. ქ. ზუგდიდი — ქ. ზუგდიდის, ხობის, ზუგდიდის, წალენჯიხის რაიონების სკოლების მოსწავლეებისათვის
12. ქ. ჭიათურა — ქ. ჭიათურის ზონის და საჩხერის რაიონის სკოლების მოსწავლეებისათვის
13. ქ. გორი — ქ. გორის და გორის, ქარელის, ხაშურის, ბორჯომის რაიონების სკოლების მოსწავლეებისათვის
14. მცხეთა — მცხეთის, კასპის, დუშეთის რაიონების სკოლების მოსწავლეებისათვის
15. ახალციხე — ახალციხის, ადიგენის, ასპინძის რაიონების სკოლების მოსწავლეებისათვის
16. ახალქალაქი — ახალქალაქის, ბოგდანოვკის რაიონების სკოლების მოსწავლეებისათვის
17. ბოლნისი — ბოლნისის, დმანისისა და მარნეულის რაიონების სკოლების მოსწავლეებისათვის
18. თეთრი წყარო — თეთრი წყაროს რაიონის სკოლების მოსწავლეებისათვის



19. თელავი — თელავის, ახმეტის, ყვარლის რაიონების სკოლების მოსწავლეებისათვის
20. გურჯაანი — გურჯაანის, სიღნაღის, წითელწყაროს, ლავოდენის, საგარეჯოს რაიონების სკოლების მოსწავლეებისათვის
21. მახარაძე — მახარაძის, ლანჩხუთის, ჩოხატაურის რაიონების სკოლების მოსწავლეებისათვის
22. ამბროლაური — ამბროლაურის რაიონის სკოლების მოსწავლეებისათვის
23. მესტია — მესტიის რაიონის სკოლების მოსწავლეებისათვის
24. ცაგერი — ცაგერის რაიონის სკოლების მოსწავლეებისათვის
25. ლენტეხი — ლენტეხის რაიონის სკოლების მოსწავლეებისათვის
26. ყაზბეგი — ყაზბეგის რაიონის სკოლების მოსწავლეებისათვის
27. თიანეთი — თიანეთის რაიონის სკოლების მოსწავლეებისათვის
28. ონი — ონის რაიონის სკოლების მოსწავლეებისათვის
29. წალკა — წალკის რაიონის სკოლების მოსწავლეებისათვის
30. ქ. თბილისი — რკინიგზის სკოლებისათვის

8. სასკოლო ტური ტარდება დეკემბერში, რაიონული (საქალაქო) — იანვარში, ზონალური — თებერვალში, რესპუბლიკური — მარტში, სასკოლო და რაიონული (საქალაქო) ოლიმპიადების ჩატარების ზუსტ თარიღს ადგენს რაიონის (ქალაქის) განათლების განყოფილება.

9. სასკოლო და რაიონული (საქალაქო) ტურების ამოცანებს ადგენენ შესაბამისი საორგანიზაციო კომიტეტები, ზონალური და რესპუბლიკური ტურების ამოცანებს ადგენს რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტის ჟიური, სასკოლო, რაიონული (საქალაქო) და ზონალური ტურების მონაწილე მოსწავლეებს მიეცემათ გაანგარიშებითი და თვისებითი ხასიათის ხუთ-ხუთი ამოცანა, დრო სამუშაოს შესრულებისათვის განსაზღვრულია 4 ასტრონომიული საათით, სამუშაოს შესასრულებლად მოსწავლეებს ეძლევათ 12 ფურცლიანი რეკულები.

ამოცანებს ზონალური ტურისათვის საორგანიზაციო კომიტეტი ღებულობს დალუქული პაკეტით.

საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე დალუქულ პაკეტს ამოცანებით ხსნის აუდიტორიაში მოსწავლეების თანდასწრებით.

10. მოსწავლეთა ნამუშევრებს იბარებს საორგანიზაციო კომიტეტი, რომელიც იმავე ან მეორე დღეს ასწორებს მათ; ცნობებს იმის შესახებ, თუ რამდენმა მოსწავლემ მიიღო მონაწილეობა და გამარჯვებულ მოსწავლეთა სიას უგზავნის შემდგომი ეტაპის საორგანიზაციო კომიტეტს ტურის ჩატარების მეორე დღეს, რესპუბლიკურ საორგანიზაციო კომიტეტს ეგზავნება აგრეთვე ზონაში გამარჯვებულ მოსწავლეთა ნამუშევრები (მისამართი — 380018, თბილისი, რუსთაველის გამზირი 8, საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო, სკოლების სამმართველო).

11. ამოხსნილი ამოცანების შეფასება ხდება ქულებით, თითოეული ამოცანის სწორი და სრული ამოხსნა შეფასდება ორი ქულით, ამო-

ცანის ამოხსნაში არაარსებითი ხასიათის შეცდომების დაშვების შემთხვევაში იწერება ერთი ქულა, ხოლო არასწორი ამოხსნისათვის მოსწავლეს ნული ქულა ეწერება. შეფასება იწერება თითოეული ამოხსნილი ამოცანის ბოლოს, აუცილებელია ყველა შეცდომის აღნიშვნა, სამუშაოს ბოლოში კომისია წერს ქულათა საერთო რაოდენობას და აწერს ხელს, ოლიმპიადის შემდგომ ეტაპზე დაიშვებიან მოსწავლეები, რომლებიც 6 და მეტ ქულას დააგროვებენ.

12. წარმოდგენილი ნამუშევრების გადამოწმების შემდეგ დასკვნით ტურზე დასაშვებ მოსწავლეთა სიას კლასების მიხედვით საზღვრავს რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი და ამის შესახებ დროულად აცნობებს შესაბამისი რაიონის (ქალაქის) განათლების განყოფილებას.

13. დასკვნითი ტური ტარდება ორ ეტაპად, თეორიულ ტურში მოსწავლეებს მიეცემათ 5-5 თეორიული ხასიათის ამოცანა, დრო სამუშაოს შესრულებისათვის განსაზღვრულია 4 ასტრონომიული საათით. თეორიული ტურის ჩატარების შემდეგ, იმავე დღეს სწორდება მოსწავლეთა ნამუშევრები და ვლინდება გამარჯვებულები.

14. ექსპერიმენტულ ტურზე მოსწავლეებს მიეცემათ თითო ამოცანა, მოსწავლემ პრაქტიკულად უნდა შეასრულოს დავალება და გააკეთოს სათანადო ჩანაწერები მის მიერ ჩატარებული ცდის შესახებ, სამუშაოს შესასრულებლად მათ ეძლევათ 2 ასტრონომიული საათი.

15. ჟიური ასწორებს ნამუშევრებს, აძლევს შეფასებას და გამოიყვანს ქულათა საერთო ჯამს თეორიული და ექსპერიმენტული ტურების შედეგების მიხედვით.

16. სია ოლიმპიადაში გამარჯვებულთა დასაჯილდოებლად წარედგინება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს.

ჯილდოების გადაცემა ხდება საზეიმო ვითარებაში.

რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი გამარჯვებულთაგან შეარჩევს მოსწავლეებს ნორჩ ქიმიკოსთა საკავშირო ოლიმპიადაში მონაწილეობის მისაღებად.

17. საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო აჯილდოებს, აგრეთვე, იმ მასწავლებლებს, რომლებიც დიდ მუშაობას ეწევიან ნორჩ ქიმიკოსთა წრეებში, პროპაგანდას უწევენ ქიმიურ მეცნიერებას, ხელს უწყობენ მოსწავლეთა ცოდნის ამღვლელებს და რომელთა მოსწავლეები ოლიმპიადაში წარმატებებს აღწევენ.

**ნორჩ ქიმიკოსთა ოლიმპიადის
რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი***

საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს კოლევების,
საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლევების,
ცეკავშირის გამგეობის, სახელმწიფო ვაჭრობისა და
სამომხმარებლო კომერცის მუშაკთა პროფკავშირის
რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმის, განათლების,
უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების
მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის
პრეზიდიუმის 1984 წლის 26 ივნისის
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ზ ა

რესპუბლიკური ზოგადსაგანმანათლებლო რვაწლიანი და
საშუალო სკოლების მოსწავლეთა საზოგადოებრივი
კვების საუკეთესო საწარმოს სახელის მოსაპოვებლად
გამოცხადებული დათვალიერება-კონკურსის
ჩატარების შედეგების შესახებ

საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს კოლეგიამ, საქართვე-
ლოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიამ, ცეკავშირის გამგეობამ,
სახელმწიფო ვაჭრობისა და სამომხმარებლო კომერცის მუშაკთა
პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმმა და განათლე-
ბის, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა
პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმმა

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ე ს :

1. დათვალიერება-კონკურსის ჟიურის 1984 წლის 29 მაისის
ინფორმაცია „რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო რვაწლიანი და
საშუალო სკოლების მოსწავლეთა საზოგადოებრივი კვების საუკეთესო
საწარმოს სახელის მოსაპოვებლად გამოცხადებული დათვალიერება-
კონკურსის ჩატარების შედეგების შესახებ“ ცნობად იქნას მიღებული.

2. გამარჯვებულად აღიარებულ იქნან და მიენიჭოთ:

პირველი ადგილი და პრემია 300 მანეთის ოდენობით:

— თბილისის მე-2 საშუალო სკოლას (ამხ. ს. ჩილინგარიძე) და
სკოლის სასადილოს (ამხ. მ. კარაკოზოვა) — 100 ქულა

— რუსთავის მე-11 საშუალო სკოლას (ამხ. ჯ. მგალობლიშვილი)
და სკოლის სასადილოს (ამხ. ლ. წიწილაშვილი) 92 ქულა

მეორე ადგილი და პრემია 200 მანეთის ოდენობით:

— რუსთავის მე-2 საშუალო სკოლას (ამხ. ე. ჭიპაშვილი) და
სკოლის სასადილოს (ამხ. გ. გოგიბერიძე) — 87 ქულა

— თბილისის 36-ე საშუალო სკოლას (ამხ. ე. ხომერიკი) და სკო-
ლის სასადილოს (ამხ. კ. კიკოლაშვილი) — 84 ქულა

მესამე ადგილი და პრემია 150 მანეთის ოდენობით:

— ჭიათურის მე-7 საშუალო სკოლას (ამხ. ე. ვაშაძე) და სკოლის
სასადილოს (ამხ. შ. ღვთაძე) — 72 ქულა



— ქობულეთის რაიონის სოფელ ბობოყვათის საშუალო სკოლაში (ამხ. ო. ვერულიძე) და სკოლის სასადილოს (ამხ. დ. მანესიშვილი) — 71 ქულა

— ბორჯომის 1-ლ საშუალო სკოლას (ამხ. ა. შაყულაშვილი) და სკოლის სასადილოს (ამხ. ც. ლონაძე) — 70 ქულა.

3. საზოგადოებრივი კვების საწარმოთა მუშაკების პრემირება მოხდეს ვაჭრობის სამინისტროსა და ცეკავშირის გამგეობის ფონდებიდან, ხოლო სკოლების მუშაკებისა — განათლების სამინისტროს სახსრების ხარჯზე.

საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრი მ. შაჰნია	საქართველოს სსრ განათლების მინისტრი ო. ქინძლაძე	ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარე პ. შაჰნიშვილი
--	---	--

სახელმწიფო ვაჭრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე
ნ. ბაჰაშვილი

განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე
დ. იოსელიანი

ი ნ ზ ო რ მ ა ც ი ა

რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო რვაწლიანი და საშუალო სკოლების მოსწავლეთა საზოგადოებრივი კვების საუკეთესო საწარმოს სახელის მოსაპოვებლად გამოცხადებული დათვალიერება-კონკურსის ჩატარების შედეგების შესახებ

რესპუბლიკის რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებებმა, პროფკავშირის რაიკომებმა და ქალაქკომებმა სავაჭრო ორგანიზაციებთან ერთად დროულად გააცნეს სკოლებისა და სასკოლო კვების მუშაკთა კოლექტივებს რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო და რვაწლიანი სკოლების მოსწავლეთა საზოგადოებრივი კვების საუკეთესო საწარმოს სახელის მოსაპოვებლად გამოცხადებული დათვალიერება-კონკურსის პირობები. დათვალიერება-კონკურსის ჩამტარებული კომისიები სისტემატურად ამოწმებდნენ კონკურსის მიმდინარეობას და იბრძოდნენ მოსწავლეთა საზოგადოებრივი კვების მკვეთრი გაუმჯობესებისათვის. ამ მხრივ კარგ შედეგებს მიაღწიეს ქ. რუსთავის, ქ. ჭიათურის, აგრეთვე ქ. თბილისის ოქტომბრის, ქობულეთისა და ბორჯომის რაიონების განათლების განყოფილებებმა, სავაჭრო ორგანიზაციებმა და შესაბამისმა პროფკავშირის რაიკომებმა და ქალაქკომებმა.

ქ. რუსთავის მე-11 საშუალო სკოლისა და ამავე სკოლის სასადილო-

ლოს მუშაკთა კოლექტივებმა მიაღწიეს მოსწავლეთა საზოგადოებრივი კვების სანიმუშო ორგანიზაციას; ამ სკოლის მაქსიმალური ცვლის ყოველ 4 მოსწავლეზე მოწყობილია 1 დასაჯდომი ადგილი, მოსწავლეთა მთელი კონტინგენტი უზრუნველყოფილია ცხელი და წვნიანი კერძებით, დანერგილია აბონემენტებით ვაჭრობის სისტემა, სავაჭრო დაზი გაფორმებულია ესთეტიკურად, შემოღებულია მასწავლებელთა, მშობელთა და უფროსი კლასის მოსწავლეთა მორიგეობა, მოსწავლეთა შორის დანერგილია კულტურული ჭამის ჩვევები, სასადილოში, სამზარეულოსა და დამზარე სათავსოებში მუდამ სანიმუშო სანიტარიული რეჟიმი დაცული, მოწყობილია თვითანგარიშის მაგიდა, შემოღებულია ღიფერენცირებული და ღიეტური კვება, ამ სკოლის მოსწავლეები მომსახურებითი შრომის პროცესში სამარილეებს, სუფრებს, ხელსაწოცებს, წინაფრებს და კვების ბლოკისათვის სხვა საჭირო ნივთებს ამზადებენ, საცდელი ნაკვეთებიდან სასადილო მარაგდება მწვანილით, სასადილოს მუშაობაზე დაწესებულია ყოველდღიური კონტროლი, ამ სკოლის პარტიული, პროფკავშირული ორგანიზაციები და პედაგოგიური საბჭო პერიოდულად იზილავენ მოსწავლეთა საზოგადოებრივი კვების ორგანიზაციის მდგომარეობას, შემჩნეულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად სახავენ და ახორციელებენ სათანადო ღონისძიებებს.

კარგად არის დაყენებული ბავშვთა კვების ორგანიზაციის საქმე თბილისის მე-2, 36-ე, ქ. ჭიათურის მე-7, ქობულეთის რაიონის სოფელ ბოზოყვათის, ბორჯომის 1-ლ, რუსთავის მე-2 საშუალო სკოლებში.

დათვალიერება-კონკურსში გამარჯვებისათვის საჭირო ქულები ვერ დააგროვეს, მაგრამ დამაკმაყოფილებელი მუშაობა აქვთ ჩატარებული თბილისის მე-20, 169-ე, 24-ე, ბათუმის 26-ე, ქუთაისის 23-ე, მე-15, 24-ე, ჭიათურის 28-ე, ოჩამჩირის მე-5, ქობულეთის რაიონის სოფელ მუხანესტატეს, ხულოს, ქედის რაიონების, ჭიათურის რაიონის სოფელ ქვაციხის, ამბროლაურის მე-2, თიანეთის და ზოგიერთ სხვა რაიონის სკოლებს.

ჟიურის განსახილველად წარმოდგენილი იყო 22 ქალაქისა და რაიონის 34 სასკოლო სასადილო. ამათგან არასრულყოფილი მასალები იქნა წარმოდგენილი მცხეთის 1-ლი, ჩოხატაურის, ლანჩხუთის რაიონების, ქ. ცხინვალის 1-ლი, მე-3, მე-7, მე-12, ქ. თბილისის გლდანის რაიონის ზოგიერთი სკოლის შესახებ.

დათვალიერება-კონკურსის ჩატარების საქმეში სრული უპასუხის-მგებლობა გამოიჩინეს და ჟიურისათვის არავითარი მასალა არ წარმოადგინეს ქ. ქ. ფოთის, გორის, წყალტუბოს, მარნეულის, აგრეთვე ადიგენის, ასპინძის, ახალქალაქის, ანმეტის, ბოგდანოვკის, გარდაბნის, დმანისის, ზესტაფონის, ქარელის, კასპის, ყვარლის, ლავოდნის, ლენტეხის, მარნეულის, მესტიის, ონის, ორჯონიკიძის, საჩხერის, სიღნაღის, თერჯოლის, თეთრი წყაროს, ცაგერის, წალენჯიხის, წალკის, წითელ-

წყაროს, ცხაკაიას და ჩხოროწყუს რაიონების განათლების განყოფილებებმა, პროფკავშირის ქალაქკომებმა და რაიკომებმა, სავაჭრო ორგანიზაციებმა.

კონკურსში გამარჯვებულად ჩაითვალნენ და მიენიჭათ პირველი ადგილი და პრემია 300 მანეთის ოდენობით:

— ქ. თბილისის მე-2 საშუალო სკოლას (ამხ. ს. ჩილინგარიდი) და სკოლის სასადილოს (ამხ. მ. კარაკოზოვა) — 100 ქულა

— ქ. რუსთავის მე-11 საშუალო სკოლას (ამხ. ჯ. მგალობლიშვილი) და სკოლის სასადილოს (ამხ. ლ. წიწილაშვილი) — 92 ქულა

მეორე ადგილი და პრემია 200 მანეთის ოდენობით:

— ქ. რუსთავის მე-2 საშუალო სკოლას (ამხ. ვ. ჭიპაშვილი) და სკოლის სასადილოს (ამხ. მ. გოგიბერიძე) — 87 ქულა

— ქ. თბილისის 36-ე საშუალო სკოლას (ამხ. გ. ხომერიკი) და სკოლის სასადილოს (ამხ. კ. კიკოლაშვილი) — 84 ქულა

მესამე ადგილი და პრემია 150 მანეთის ოდენობით:

— ქ. ჭიათურის მე-7 საშუალო სკოლას (ამხ. ვ. ვაშაძე) და სკოლის სასადილოს (ამხ. შ. ღავათაძე) — 72 ქულა

